

ადგილის შეცვლისა და დიდ სოციალურ ნაირსახეობად ჩამოყალიბების უნარი და, შვერთებისა და შეკავშირების გზით, შესაბამისად მრავალფეროვან პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პლეადებად გაერთიანდნენ. მე ასევე ვეცდები გავაანალიზო, თუ რატომ გამოიწვია ამ საგანგებო კულტურულმა შემკვიდრებამ ასეთი ღრმა გრძნობები.

ცნებები და განსაზღვრებები

სანამ ზემოთ წამოჭრილ საკითხებს განვიხილავდეთ, სასურველი იქნება მოკლედ მიმოვიხილო "ერის" ცნება და შემოგთავაზოთ სათანადო განსაზღვრება. ნაციონალიზმის თეორეტიკოსებს, ვერ ვიტყვით რომ აღიზიანებთ, მაგრამ საკმაოდ აოცებთ შემდეგი სამი პარადოქსი: (1) ერების ობიექტური სიახლე, რომელიც ისტორიკოსის თვალთაა დანახული და, პირიქით, მათი სუბიექტური სიძველე, რომელსაც ნაციონალისტის თვალი აღიქვამს. (2) ეროვნების, როგორც სოციოკულტურული ცნების მოჩვენებითი უნივერსალობა. თანამედროვე სამყაროში, ეროვნება ისევე ნიშანდობლივია თითოეული ინდივიდისათვის, როგორც სქესი. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს, აქვს კიდევ და მომავალშიც ექნება ეროვნება. ამის საპირისპიროდ, მას უნდა ახასიათებდეს საკუთარი თავის გამოვლენის განსაკუთრებული ნიშნები. მაგ. "ბერძენი" ეროვნება შეიძლება განიმარტოს როგორც *sui generis* (თავისებური წარმომავლობის მქონე). (3) ერთის მხრივ ნაციონალიზმის "პოლიტიკური" ძალა, მეორეს მხრივ კი, მისი ფილოსოფიური სისუსტე, ზოგჯერ უაზრობაც კი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა "იზმებისაგან" განსხვავებით, ნაციონალიზმს არასოდეს ჰყოლია დიდი მოაზროვნეები: არც პობსი, არც ტოკვილი, არც მარქსი და ვებერი. ეს "სიცარიელე" კოსმოპოლიტ და მრავალენოვან ინტელექტუალებს შორის, დასაბამს აძლევს ჭეშმარიტ შემწყნარებლობას. პერტრუდა შტეინის მსგავსად, ჩვენც ადვილად შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ არ არსებობს გაგება "იქ". ნიშანდობლივია, რომ ნაციონალიზმისადმი ისეთ სიმპათიით

განწყობილ პიროვნებასაც კი, როგორც ტომ ნაირნია, შეუძლია ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად დაწეროს: "ნაციონალიზმი თანამედროვე განვითარებადი ისტორიის პათოლოგიაა, მას ისევე ვერ გაექცევი, როგორც "ნევროზს", მას ახასიათებს ორაზროვნება, რომელიც ფსიქიკური აშლილობის წინაპირობას წარმოადგენს და რომელსაც ფესვები უმწეობის დილემაში აქვს გადგმული. სამწუხაროდ, ის აეკვიტა მთელ მსოფლიოს (საზოგადოებათათვის ესაა ინფანტილიზმის ექვივალენტი, რომელიც განუკურნელი სენის ტოლფასია)".⁸

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ ადამიანს აქვს გაუცნობიერებელი მიდრეკილება განსაკუთრებული არსებობა მაინჭოს ნაციონალიზმს (ისევე, როგორც ასაკს) და ჩამოაყალიბოს როგორც რაღაც იდეოლოგია. (შიაქციეთ ყურადღება, რომ თუ ასაკი ისეთი რამაა, რაც ყველას აქვს, მაშინ ასაკი მხოლოდ ანალიზური ტერმინია და სხვა არაფერი). ვფიქრობ, საქმე უფრო გაიოლდებოდა, თუ ნაციონალიზმს განეხილავდით ისე, თითქოს ის "ნათესაობას" და "რელიგიას" უკავშირდება და არა "ლიბერალიზმსა" თუ "ფაშიზმს".

მიმაჩნია, რომ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, შესაძლებელია ერის შემდეგი განსაზღვრება: "ეს არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება და ის წარმოსახება როგორც მისთვის თანმხლები საზღვრებით, ასევე სუვერენულობით".

ის წარმოსახვითია, რადგან ყველაზე პატარა ერის წევრებიც კი ვერასოდეს გაიცნობენ ამ ერის წევრთა უმრავლესობას, ვერ შეხვდებიან და ვერაფერს გაიგებენ მათ შესახებ; და მაინც ყოველი მათგანის გონებაში შექმნილია მათი ერთობის ხატი.⁹ რენანი ასეთ წარმოსახვას ხსნიდა რბილად და ორაზროვნად, როცა წერდა: 'L'essence d'une nation est que tous les individus aient beaucoup de choses en commun, et aussi que tous aient oublié bien des

8. "The Break-up of Britain", გვ. 359

9. შეადარეთ სეტონ უოტსონი, "Nations and States", გვ. 5. "ერთადერთი, რისი თქმაც შეძილია, არის ის, რომ ერის არსებობა მაშინაა რეალური, როცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ერთად ჩათვლის ან ასეთ შთაბეჭდილებას დატოვებს თავისი საქციელიდან გამომდინარე". სიტყვა "ჩათვლის" თავისუფლად შეგვიძლია გავაიგიოთ სიტყვასთან "წარმოიდგენს".

choses'¹⁰ (ამდენად, არსი ერისა არის ის, რომ მის ყოველ ინდივიდს ბევრი რამ აქვს საერთო, და აგრეთვე ის, რომ ყველამ დაივიწყა ბევრი რამ). გელნერი გარკვეული გულისწყრომით აღნიშნავს, რომ "ნაციონალიზმი არ წარმოადგენს ერების გამოღვიძებას და თვითშეგნების მოძალებას. ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელია ერების შეთხზვა იქ, სადაც ისინი არ არსებობენ".¹¹ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მოსაზრებას აქვს გარკვეული ნაკლი. გელნერი ისეა მონდომებული, დაგვანახოს ნაციონალიზმის სიყალბე, რომ მას "გამოგონებასთან", "ჭორებსა" და "სიყალბესთან" უფრო აიგივებს, ვიდრე "წარმოსახვასა" და "შემოქმედებასთან". ის გულისხმობს, რომ "ჭეშმარიტი" საზოგადოებანი მართლაც არსებობენ და მათი ერებისგან გამორჩევაც ძალიან მარტივია. ფაქტიურად, წარმოსახვითა ყველა ის საზოგადოება, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე პირველყოფილი სოფლის ახლო ურთიერთკავშირში მყოფი მოსახლეობა, (ისიც კი შესაძლოა წარმოსახვითი იყოს). ცხადია, საზოგადოებები უნდა განვასხვავოთ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მოჩვენებითობა/ნამდვილობით, არამედ იმ სტილით, რომლითაც ხდება მათი წარმოსახვა. ყველა იაველმა იცოდა, რომ დაკავშირებული იყო ხალხთან, რომელიც არასოდეს ენახა, მაგრამ ასეთი კავშირების წარმოსახვა მაინც მოხდა და მოხდა განსაკუთრებული სიყვარულითა და ერთგულებით – ნათესაობისა და კლიენტურის ფართო ქსელის სახით. არც თუ დიდი ხნის წინ იაველებს ლექსიკონში არ ჰქონდათ "საზოგადოების" აღმნიშვნელი სიტყვა. დღეს ჩვენ უკვე შეიძლება ვიფიქროთ ძველი რეჟიმის დროს არსებულ ფრანგულ არისტოკრატიაზე, როგორც კლასზე, მაგრამ, უდავოა, რომ მისი წარმოსახვა მოხდა ძალიან

10. Ernest Renan, Qu'est ce qu'une nation? Oeuvres complètes. 1, გვ. 892. ის ამატებს: 'tout citoyen français doit avoir oublié la Saint-Barthélemy, les massacres du Midi au XIIIe siècle. Il n'y a pas en France dix familles qui puissent fournir la preuve d'une origine franque...' ("ყოველი ფრანგი მოქალაქის მიერ უკვე დავიწყებული უნდა იყოს ბართლომეს ღამე, მეცამეტე საუკუნეში სამხრეთ საფრანგეთში მომხდარი ხოცვა-კლევტა. საფრანგეთში არ მოიძებნება ათი ოჯახიც კი, რომელიც შეძლებდა დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენას, რომ წარმოშობით ფრანკია").

11. Ernest Gellner, "Thought and Change", გვ. 169. კომენტარების დართვით.

კვიან.¹² კითხვაზე “ვინ არის გრაფი X?”, ნორმალური პასუხი იქნებოდა “არა არისტოკრატიის წევრი“, არამედ “X-ის ლორდი“, “ბარონ Y-ის ბიძა“ ან “ქერცოვი Z-ის კლიენტი“.

ერი წარმოსახულია, როგორც გარკვეულ ფარგლებში მოქცეული მოვლენა, რადგან ყველაზე დიდ ერებსაც კი, რომელთა მოსახლეობა მილიარდსაც აღემატება, აქვთ, მართალია ელასტიური, მაგრამ სავსებით გარკვეული საზღვრები, რომელთა მიღმა სხვა ერები სახლობენ. არც ერთი ერი არ თვლის, რომ ის ჰგავს კაცობრიობის სხვა რომელიმე წარმომადგენელს. ყველაზე შესიანისტ ნაციონალისტებსაც კი არ დაესიზმრებათ დღე, როდესაც ადამიანთა ყველა რასის წარმომადგენელი მათ ეროვნებას მიიღებს, ისე, როგორც გარკვეულ ეპოქაში ქრისტიანები ოცნებობდნენ საყოველთაო ქრისტიანულ პლანეტაზე.

ერი წარმოსახულია, როგორც სუვერენული ფენომენი, რადგან ერის ცნება გაჩნდა იმ პერიოდში, როცა განმანათლებლობა და რევოლუცია ანადგურებდნენ იერარქიული დინასტიური სამეფოს ღვთაებრივად მიჩნეულ ლეგიტიმურობას. კაცობრიობის ისტორიის სიმწიფის ხანაში, როცა ნებისმიერი საყოველთაო რელიგიის ყველაზე ერთგული მიმდევრებიც კი, ამაოდ უპირისპირდებოდნენ არსებულ რელიგიურ პლურალიზმს და ალომორფიზმს ცალკეულ რწმენათა ონტოლოგიურ მოთხოვნებსა და ტერიტორიულ გაფართოებას შორის, ერები ოცნებობდნენ თავისუფლებაზე ღმერთის მფარველობით. ამ თავისუფლების საწინდარი კი, მუდამ სუვერენული სახელმწიფო იყო.

დაბოლოს, ერი წარმოსახულია, როგორც საზოგადოება, თემი, რადგან რეალურის, უთანასწორობისა და არსებული ექსპლუატაციის მიუხედავად, რაც შეიძლება გაბატონდეს ნებისმიერ მათგანში, ერი ყოველთვის მოიაზრება როგორც ღრმა, ჰორიზონტალური ამხანაგობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ძმობა, რომელიც ამ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მილიონობით ადამიანს მოუწოდებს არა იმდენად სხვების განადგურებისკენ, რამდენადაც თავის

12. მაგ. ჰობსბაუმი ყოველივე ამას იმ ფაქტის საფუძველზე “ამტკიცებს“, რომ 1789წ. აღნიშნული არისტოკრატიის რიცხვი 23.000.000-იან მოსახლეობაში 400.000 შეადგენდა (იხილეთ მისი “The Age of Revolution“, გვ. 78), მაგრამ შეიძლება, რომ ნობილიტეტის ასეთი სტატისტიკური სურათი ძველი რეჟიმის პირობებში წარმოვიდგინოთ?

გაწირვისაკენ იმ იდეალებისთვის, რომლებიც ამ შეზღუდული წარმოსახვებისთვისაა დამახასიათებელი.

ასეთი თავგანწირვა ნათლად წარმოაჩენს ნაციონალიზმის ცენტრალურ პრობლემას: როგორ იწვევს უახლესი ისტორიის (სულ რაღაც ორი საუკუნის) ეს დუნე წარმოსახვა ასეთ კოლოსალურ მსხვერპლს? მე მწამს, რომ პასუხი ნაციონალიზმის კულტურულ ფესვებში უნდა ვეძებოთ.



2. კულტურული ფესვები

ნაციონალიზმის თანამედროვე კულტურის ძველთაგან ყველაზე საფურადღებოდ კენოტაფები და უცნობ ჯარისკაცთა საფლავეები გვევლინება. ამ ძეგლებისადმი საყოველთაო პატივისცემა, შესაძლოა, სწორედ იმითაცაა გაპირობებული, რომ ისინი ან ცარიელია, ან დანამდვილებით არავენ იცის, ვინაა იქ დაკრძალული. ძველად, ასეთ შემთხვევებს პრეცედენტი არ მოეპოვებოდა.¹ თანამედროვე ეპოქის მაჯისცემას სათანადოდ შევიგრძნობთ, თუ შევძლებთ იმის წარმოდგენას, რა გრძნობები დაუფლდება ადამიანს, რომელმაც “გაიგო” უცნობი ჯარისკაცის ვინაობა, ან დაუინებთ მოითხოვა კენოტაფში ვისიმე ძეგლების მოთავსება. ყოველივე ამას მხოლოდ თანამედროვე ეპოქისათვის ჩვეული ამაზრზენი მკრეხელობა შეიძლება ეწოდოს. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საფლავეები ცარიელია და იქ არც უბრალო მოკვდავთა გვამები და არც უკვდავი სულები არ განისვენებენ, მსგავსი ძეგლები მაინც ამაღლებული ეროვნული წარმოსახვებითა და სულიერი ფასეულობებითაა დატვირთული.² (ამიტომაცაა, რომ სხვადასხვა ერებს, ასეთ საფლავთა სიმრავლის მიუხედავად, არ უჩნდებათ

1. ძველი ბერძნების კენოტაფები განკუთვნილი იყო ისეთი განსაკუთრებული, ცნობილი პიროვნებებისთვის, ვისი სხეულების პოვნა და დაკრძალვა, ამა თუ იმ მიზეზის გამო კერ მოხერხდა. ამ ინფორმაციას მე ვფლობ ჩემი ბიზანტინოლოგი კოლეგის ჯულიტ ჰერინისგან.

2. განვიხილოთ, მაგ. შემდეგი ღირსშესანიშნავი ტროპები: 1. “წინაპრთა გრძელ ნაცრისფერ რიგს არასოდეს არავენ გაუწბილებია, მაგრამ საკმარისია რომელიმე ჩვენგანის მხრიდან რეალური გახდეს იმედგაცრუების საშიშროება, რომ მილიონობით აჩრდილი, რომელიც ისეთი თაღზი ფერებით იქნება

სურვილი, დააზუსტონ არარსებული განსვენებულის ეროვნება).
და მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი თუ არა გერმანელები,
ამერიკელები, არგენტინელები . . . ?

ასეთ ძველთა არსებობა კულტურის თვალსაზრისით უფრო
ნათელი და გასაგები გახდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ან
უცნობი მარქსისტის საფლაოა, ან დაცემულ ლიბერალთა კენოტაფი.
როგორ დავაღწიოთ თავი აბსურდულობის შეგრძნებას? მთავარი
მაინც ისაა, რომ სიკვდილისა თუ უკვდავების ცნებები მარქსიზმისა
და ლიბერალიზმის ინტერესების სფეროში არ შედიან, ხოლო თუ
ნაციონალისტის წარმოსახვაში ასეთი ინტერესი მაინც არსებობს,
მაშინ აუცილებლად იგულისხმება მისი რელიგიასთან სიახლოვე,
რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.
ამიტომ, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება თუ ნაციონალიზმის ფესვების
განხილვას სიკვდილით დავიწყებთ, რადგან სწორედ სიკვდილია
უბედურებათა ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი.

აღამიანის სიკვდილი გაუგებარიცაა და, ამავე დროს,
გარდაუვალიც. საერთოდ, ცხოვრება სავსეა მსგავსი
აუცილებლობებისა და შესაძლებლობათა კომბინაციებით. ყველა
ჩვენგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი გენეტიკური
მემკვიდრეობის, სქესის, მიწიერი ცხოვრების ვადის, ფიზიკური
შესაძლებლობების, დედაენისა და ა.შ. შემთხვევითობაც და
გარდაუვალობაც. ტრადიციულ რელიგიურ მსოფლმხედველობათა

გარემოცული, როგორიცაა წენგოსფერი, მქრქალი ყავისფერი, ლურჯი,
ხაისფერი და რუხი, წამოდგება საფლაოიდან და მქუხარე ხმით დასჭექს
მაგიურ სიტყვებს: მოვალეობა, ღირსება, ქვეყანა!" 2. "ჩემი მოსაზრება
[შეომარი ამერიკელის შესახებ] საკმაოდ დიდი ხნის წინ, ბრძოლის ველზე
ჩამოყალიბდა და აღარასოდეს შეცვლილა. მაშინაც ვთვლიდი და ახლაც
მიმაჩნია, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი უკეთილშობილესი ფიგურაა, რაც
არ განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო თვისებებით, იგი
ამასთანავე, ერთ-ერთი ყველაზე შეუბღალავიცაა [sic]... იგი ისტორიის
საკუთრებას წარმოადგენს და შარავანდელით მოსილი პატრიოტიზმის [sic]
საუკეთესო მაგალითის გამოხატულებაა. ის ეკუთვნის შთამომავლობას და
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების ქადაგების
თვალსაზრისით, მომავალი თაობის ლიდერია. მთელი თავისი ღირსებებითა
და მიღწევებით, იგი ეკუთვნის აწმყოს და, ამდენად, ჩვენი საკუთრებაა..."
Douglas MacArthur, "Duty, Honour, Country", Address to the U.S. Military
Academy, West Point, May 12, 1962, წიგნში "Soldier Speaks", გვ. 354 და
357.

ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს მათი ინტერესი ადამიანის, სამყაროში მისი ადგილისა და ცხოვრების პირობითობისადმი. (რელიგიური მსოფლმხედველობა უნდა განვასხვაოთ იმ როლისგან, რომელსაც ის ასრულებს გარკვეულ გაბატონებულ სისტემათა და ექსპლუატაციის ფორმათა დაკანონებაში). ათეულობით სხვადასხვა სოციალურ ფორმაციაში ბუდიზმის, ქრისტიანობისა თუ ისლამის გადარჩენა არსებობის 1000-წლოვანი ისტორიის მანძილზე ერთგვარად ადასტურებს ადამიანური ტანჯვის სიმძიმის – ავადმყოფობის, დასახინჩრების, გლოვის, ასაკისა და სიკვდილის შესახებ გარკვეული წარმოსახვების არსებობას. რატომ გაჭნა ბრმა? რატომა ჩემი საუკეთესო მეგობარი პარალიზებული? რატომა ჩემი ქალიშვილი გონებრივად ჩამორჩენილი? ყოველივე ამის ახსნას ცდილობენ რელიგიები. განსჯის ყველა არსებული ევოლუციურ/პროგრესული სტილის დიდ სისუსტედ, მარქსიზმის ჩათვლით, მიჩნეულია ის, რომ ასეთ კითხვებზე პასუხი ყოველთვის შეუწყნარებელი დუმილია.³ ამავე დროს, რელიგიური აზროვნება განსხვავებულად ხსნის უკვდავებას - ამ ბურუსითა და იდუმალებით მოცულ ფენომენს, რომელიც ბედისწერას მარადიულ მოვლენად (კარმა, თავდაპირველი ცოდვა და ა.შ.) აქცევს. ამგვარად, ინტერესის

3. შეადარეთ Régis Debray, "Marxism and the National Question", *New Left Review*, 105 (September-October 1977), გვ. 29. 1960-იან წლებში ინდონეზიაში, სავლელე სამუშაოების ჩატარებისას მე გამაოცა ბევრი მუსლიმანის მშვიდმა უარმა იმასთან დაკავშირებით, რომ მიეღოთ დარეინის იდეები. თავდაპირველად, მე ეს უარი ობსკურანტიზმის გამოვლინებად მივიჩნეე, შემდგომში კი გაეაცნობიერე, რომ ეს სიმტკიცის გამოვლენის ფრიად დასაფასებელი მცდელობა იყო. მხოლოდ და მხოლოდ ევოლუციის დოქტრინა ვერ გაუწვევდა კონკურენციას ისლამის მოძღვრებას. რის საფუძველზე უნდა შეიქმნას მეცნიერული მატერიალიზმი, რომლისთვისაც ფორმალურად მისაღებია ფიზიკის აღმოჩენები მატერიის შესახებ და, ამასთანავე, შეიძლება ითქვას, დიდად არც კი ცდილობს, რომ ეს აღმოჩენები კლასობრივ ბრძოლას, რევოლუციას და მსგავს მოვლენებს დაუკავშიროს. ხომ არ იმალება ადამიანის შესახებ არსებული უცნობი მეტაფიზიკური კონცეფცია იმ უფსკრულში, რომელიც პროტონებსა და პროლეტარიატს შორისაა აღმართული? მაგრამ, იხილეთ სებასტიანო ტიმპანაროს განახლებული შრომები "On Materialism" და "The Freudian Slip" ასევე რეიმონდ უილიამსის მიერ დაწერილი გონივრული პასუხი, რომელიც აღნიშნულ შრომებს ეძღვნება: "Timpanaro's Materialist Challenge", *New Left Review*, 109 (May-June 1978), გვ. 3-17

საგანი როგორც გარდაცვლილი, ასევე ჩანასახში მყოფი ადამიანიცაა, რომელიც ჯერ არ მოვლენილა ქვეყნად. ახალ თაობათა გაჩენა დიდ საიდუმლოსთანაა დაკავშირებული. ვინ აღიქვამს საკუთარი შვილის გაჩენას და მოდგმის გამრავლებას კომბინირებული კავშირების ბურუსით მოცული წარმოდგენების გარეშე, შემთხვევითობისა და ბედისწერის შეგრძნების გარეშე? (როგორც პერაკლიტე ამტკიცებდა, ევოლუციურ/პროგრესული აზრების გამოუსადეგობა გამოიხატება მარადიულობის ნებისმიერი იდეისადმი მტრობით).

ამ უბრალო და გულუბრყვილო დაკვირვებათა მოტანა მართებულად ჩავთვალე იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპაში მეთვრამეტე საუკუნე გვევლინება არა მხოლოდ ნაციონალიზმის ეპოქის დასაწყისად, არამედ რელიგიური აზროვნების მზის ჩასვენების მომასწავებლადაც. განმანათლებლობამ და რაციონალისტთა სეკულარიზმმა თან მოიტანეს მათთვის თანადროული სიბნელე. ტანჯვა, რომელიც ნაწილობრივ რწმენამ წარმოშვა, არ გააქრო რელიგიური რწმენის დაკნინებამ. სამოთხის დაკარგვა: ესაა მოვლენა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს ბედისწერის თვითნებურ ხასიათს. გადარჩენის აბსურდულობა: იმ მოსაზრების გამოვლინებაა, თუ რაოდენ აუცილებელია მარადიულობის განსხვავებული ფორმა. იმ პერიოდში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა ბედისწერის მარადიულობად, ხოლო შემთხვევითობის გარდაუვალობად გარდაქმნა. ჩვენ დავინახავთ, რომ ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი მხოლოდ ერის იდეა შეიძლება იყოს. თუ ეროვნულ სახელმწიფოებს “ახლებად” და “ისტორიულებად” მივიჩნევთ, მაშინ ის ერები, რომელთა პოლიტიკასაც ისინი გამოხატავენ, ყოველთვის ბუნდოვნად მოჩანან შორეულ წარსულში.⁴ მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ისინი უსასრულო მომავალშიც მიემართებიან. ნაციონალიზმის მაგიურ ძალას შესწევს უნარი, რომ შესაძლებლობა ბედისწერად

4. განსვენებული პრეზიდენტი სუკარნო ყოველთვის სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა კოლონიალიზმის 350 წლიანი პერიოდის შესახებ, რომელიც მისმა “ინდონეზიამ” გადაიტანა, თუმცა თავად ცნება “ინდონეზია” XX საუკუნის წარმოსახვის ნაყოფია. დღევანდელი ინდონეზიის უმეტესი ნაწილი კი დაპყრობილ იქნა 1850-1910 წწ. პოლანდიელების მიერ. თანამედროვე ინდონეზიის ეროვნულ გმირებს შორის განსაკუთრებით ცნობილია

აქციოს. დებრეის დავიმოწმებ, რომელსაც შეუძლია თქვას: “მე ნამდვილად შემთხვევის წყალობით გავჩნდი ფრანგად, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთი ხომ მარადიულია?!”

არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ნაციონალიზმის გამოჩენა რელიგიური რწმენის ეროვნით იყო გამოწვეული. არც იმის თქმაა საჭირო, რომ თვითონ ეროვნაც საფუძვლიან ახსნას საჭიროებს. ვერც იმის მტკიცებას მოვყვები, რომ ნაციონალიზმი, ასე თუ ისე, კანონზომიერად “იკავებს რელიგიის ადგილს”. მე მინდა ვთქვა, რომ ნაციონალიზმი გაგებულ უნდა იქნას არა როგორც შეგნებულ პოლიტიკურ იდეოლოგიებთან გაიგივებული მოვლენა, არამედ როგორც კულტურულ სისტემებთან გათანაბრებული, რომლებიც წინ უსწრებდნენ მას და მის წარმოშობასაც მისცეს დასაბამი.

ჩვენთვის საინტერესოა ორი შესაბამისი კულტურული სისტემა, ესენია რელიგიური საზოგადოებები და დინასტიური საძეგლები. ორივე მათგანი, ერთ დროს ისეთ ზენიტში იმყოფებოდა, როგორშიც დღეს ეროვნებაა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია დაუფიქრდეთ იმასაც, თუ რამ მისცა ამ კულტურულ სისტემებს ასეთი უზომო დამაჯერებლობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ საყრდენ ელემენტთა გამოყოფაც, რომლებმაც კულტურულ სისტემათა დაშლა გამოიწვიეს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის იაველი პრინცი დიპონეგორო, თუმცა პრინციის მიერ დატოვებული მემუარები მოწმობს, რომ მას “იავის [არა გათავისუფლება], არამედ დაპყრობა ჰქონდა განზრახული” და არც “პოლანდიელთა” განდევნას ცდილობდა. ცხადია, მას არ ჰქონდა ნათლად ჩამოყალიბებული ცნება “პოლანდიელების”, როგორც ერთიანი ჯგუფის შესახებ. იხილეთ Harry J. Benda and John A. Larkin, eds., “The World of Southeast Asia”, გვ. 158; Ann Kumar, “Diponegoro(1778-1855)”, Indonesia, 13 (April 1972), გვ. 103. ხაზი ჩემია. ანალოგიურად, ქემალ ათათურქმა ერთ-ერთ თავის სახელმწიფო ბანკს Eti Banka (ხეთების ბანკი) უწოდა, მეორეს კი შუმერული ბანკი (Seton-Watson, “Nations and States”, გვ. 259). ამ ბანკებს დღეს აღზევების პერიოდი უდგათ და არავითარი მიზეზი არ არსებობს იმაში დასაუჭვებლად, რომ ბევრი თურქი, შესაძლოა თვით ქემალის ჩათვლითაც კი, ხეთებსა და შუმერებს სერიოზულად აღიქვამდა და აღიქვამს თურქების წინაპრებად. სანამ გულიანად გავიციებდეთ, ურიგო არ იქნება გავხსენოთ არტური და ბოუდისეა და კარგად ავწონ-დავწონოთ ტოლკინის მითოგრაფიების დიდი კომერციული წარმატება.

რელიგიური საზოგადოება

მეტად შთაბეჭდავია ის უზარმაზარი ტერიტორიული სივრცე, რომელიც უჭირავთ ისლამის მიმდევრებს მაროკოდან სულუს არქიპელაგამდე, ქრისტიანებს - პარაგვაიდან იაპონიამდე და ბუდისტურ სამყაროს - შრი-ლანკიდან კორეის ნახევარკუნძულამდე. დიდმა საკრალურმა კულტურებმა (ვეიქრობ, დასაშვები იქნება, თუ აქ, ჩვენი მიზნებისათვის “კონფუციანელობასაც” ჩავრთავთ), თავის თავში გააერთიანეს უზარმაზარი საზოგადოებების წარმოდგენები და აზრები. მაგრამ ქრისტიანობა, ისლამური უმა და შუა სამეფოც კი - რომელიც დღეს ჩვენში ჩინეთის სახელწოდებითაა ცნობილი და, რომელიც თავს არა ჩინურ, არამედ ცენტრალურ სამეფოდ მიიჩნევდა, - წარმოსახვითი იყვნენ საკრალური ენების და დამწერლობის წყალობით. ისლამის მაგალითიც საკმარისია ზემოთქმულის დასამტკიცებლად: როცა მაგინდანაოსა და ბერბერების ტომების წარმომადგენლები ხვდებოდნენ ერთმანეთს მექაში, მათ არ იცოდნენ ერთმანეთის ენები და, ამდენად, გამორიცხული იყო ურთიერთობის დამყარება მეტყველების გზით, მაგრამ ისინი მაინც უკებდნენ ერთმანეთს იდეოგრამების დახმარებით, რადგან საღვთო ტექსტები, რომლებთანაც ორივე მათგანს ჰქონდა შეხება, არსებობდა მხოლოდ კლასიკურ არაბულ ენაზე. ამ თვალსაზრისით, არაბული დამწერლობა იგივე ფუნქციას ასრულებდა, რასაც ჩინური იეროგლიფები, როდესაც ისინი ქმნიდნენ საზოგადოებას არა ბგერების, არამედ სიმბოლოების საშუალებით (შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მათემატიკის ენა ამ ძველი ტრადიციის გამგრძელებელია. რუმინელს წარმოდგენა არა აქვს რას უწოდებს “+” ტაილანდელი და პირიქით, მაგრამ სიმბოლო ორივესთვის გასაგებია). ყველა დიდი კლასიკური საზოგადოება თავის თავს აღიქვამდა როგორც კოსმიურად ცენტრალურს, რომელიც საკრალური ენით გაშუალებული, დაკავშირებული იყო ძალის ზემიწიერ წესრიგთან. შესაბამისად, ლათინურის, პალის, არაბულისა და ჩინური დამწერლობის გავრცელების არეალიც თეორიულად უსაზღვრო იყო (ფაქტიურად, რაც უფრო დიდი ხნის მკვდარი იყო ენა, და რაც უფრო შორს იყო მეტყველებისგან, მით უფრო

დაფასებული იყო ის: პრინციპში, სიმბოლოების წმინდა სამყარო
ვეელასთვის გასაგებია).

და მაინც, საღვთო ენებით დაკავშირებულ კლასიკურ
საზოგადოებებს ჰქონდათ ერთი ისეთი თვისება, რომელიც
განასხვავებდა მათ თანამედროვე ერების წარმოსახვითი
საზოგადოებებისგან. ძირითად განსხვავებას წარმოადგენდა ძველ
საზოგადოებათა რწმენა საკუთარი საღვთო ენების
განსაკუთრებულობასა და, ამდენად, ამ საზოგადოებათა რიგებში
გაერთიანების დიდი მნიშვნელობის შესახებაც. ჩინელი მანდარინები
მხარს უჭერდნენ იმ ბარბაროსებს, რომლებიც გაჭირვებით
სწავლობდნენ შუა საბუთის იდეოგრამების ხატვას. ეს ბარბაროსები
უკვე სანახევროდ იყვნენ ასიმილირებულნი.⁵ ნახევრად
ცივილიზებულიები კი უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდნენ,
ვიდრე ბარბაროსები. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ
ჩინელებისთვის არ იყო დამახასიათებელი და არც მხოლოდ ძველ
დროში ჰქონდა ადგილი. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის
კოლუმბიელი ლიბერალი, პედრო ფერმინ დე ვარგასი, მაგალითად,
შემდეგ "პოლიტიკას" გვთავაზობდა "ბარბაროსების" მიმართ:

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით აუცილებელია
ჩვენი ინდიელები ესპანელებად ვაქციოთ. მათი უსაქმურობა, სიმტკრე
და ნორმალური საქმიანობისადმი გულგრილობა გვაიძულებს
ვიფიქროთ, რომ ისინი დეგენერატთა რასის შთამომავლები არიან.

ეს რასა კი დასაბამიდან დაწყებული დღემდე დეგრადაციას
განიცდის და, ამდენად, ნამდვილად სასურველი იქნებოდა
მათი მოსპობა თეთრებთან შეჯვარების, ხარკისა და სხვა
გადასახადებისგან გათავისუფლების და მიწის კერძო საკუთრებაში
გადაცემის ვხით".⁶

საოცარია, რომ ეს ლიბერალი, ინდიელების "მოსპობის"
პერსპექტივას ნაწილობრივ მათი "ხარკისგან გათავისუფლებასა"
და "მიწის გადაცემაში" ხედავს. ის არ ქადაგებს მათ გაულებლას
თოფითა და მიკრობით, რაც შემდგომში მისმა მემკვიდრეებმა

5. შესაბამისად აუღელვებლად მოხდა ცინიზებული ("გაჩინვებული")
მონდოლებისა და მანჯურიელების ზეცის შეიღებად მიჩნევა.

6. John Lynch, "The Spanish-American Revolutions, 1808-1826", გვ. 260.
კომენტარების დართვით.

წამოიწიეს ბრაზილიაში, არგენტინასა და შეერთებულ შტატებში. დიდ სისასტიკესთან ერთად, ყურადღებას იქცევს საყოველთაო ოპტიმიზმიც. ბოლოს და ბოლოს, *სხვა ხალხის მსგავსად*, ინდიელების ხსნაც სრულიად შესაძლებელია, თუ მოხდება მათი თეთრებთან შეჯვარება, “ცივილიზებულთა” სპერმით განაყოფიერება და მათთვის კერძო საკუთრების გადაცემა (ფერმინის მოსაზრება სრულიად განსხვავებულია გვიან ევროპელ იმპერიალისტთა შეხედულებისაგან, რომლებიც უპირატესობას ჭეშმარიტ მალაიელებს, გურკებსა და ჰუსას უფრო ანიჭებდნენ, ვიდრე “შერეული სისხლის”, “ნახევრად განათლებულ მკვიდრ მოსახლეობას” და მათ მსგავსებს).

მდუმარე საღვთო ენა მაინც მედიის როლს ასრულებდა და მისი დახმარებით ხდებოდა წარსულის გლობალურ საზოგადოებათა წარმოსახვა, ხოლო ასეთი წარმოსახვების უტყუარობაში დარწმუნება კი დამოკიდებული იყო თანამედროვე დასავლური აზროვნებისათვის სრულიად უცხო მოსაზრებაზე: ენობრივი ნიშნის “არანებისძიერობაზე”. ჩინური, ლათინური თუ არაბული იდეოგრამები წარმოადგენდნენ სინამდვილის ემანაციას, და არა დაუსაბუთებელ და აზრს მოკლებულ გამოსახულებებს. ჩვენ ვიცით, რა დავა იყო გაჩაღებული იმის თაობაზე, თუ რომელი ენა (ადგილობრივი თუ ლათინური) უნდა გამხდარიყო საყოველთაო. არც თუ ისე შორეულ წარსულში, ისლამის ტრადიციებიდან გამომდინარე, ყურანის თარგმნა არ შეიძლებოდა (და მისი ლიტერატურული თარგმანიც არ არსებობდა), რადგან ითვლებოდა, რომ ალაჰის ჭეშმარიტების გაგება მხოლოდ და მხოლოდ არაბული დამწერლობის ჭეშმარიტი ნიშნების გზით იყო შესაძლებელი. აქ წარმოუდგენელია ისეთი სამყარო, რომელიც იმდენადაა მოწყვეტილი ენას, რომ ყველა ენა მისგან ერთნაირად დაშორებული (და, ამდენად ურთიერთშემცველი) ენობრივი ნიშნების სისტემად აღიქმებოდეს. სინამდვილეში, ონტოლოგიური რეალობის გაგება შესაძლებელია გამოხატვის მხოლოდ ერთი, პრივილეგირებული სისტემის საშუალებით - საეკლესიო ლათინურის ჭეშმარიტი ენით, ყურანის არაბულით ან საგამოცდო ჩინურით.⁷ ეს ენები

7. როგორც ჩანს, საეკლესიო ბერძნულმა ჭეშმარიტების ენის სტატუსი ვერ მიიღო ამ “მარცხის” მიზეზები სხვადასხვაა, მაგრამ ერთ-ერთი ამოსავალი ფაქტორი უდავოდ იმაში მდგომარეობდა, რომ აღმოსავლეთ იმპერიის დიდ

გაუღნითილი არიან ისეთი იმპულსით, რომელიც სრულიად უცხოა ნაციონალიზმისთვის, ესაა გარდასახვისკენ სწრაფვა. გარდასახვაში მე იმდენად გარკვეული რელიგიური დოგმების მიღებას არ ვგულისხმობ, რამდენადაც ალქიმიურ შთანთქმას. ბარბაროსი გარდაიქმნება “შუა საშეფოს” წევრად, რიფელი ბერბერი მუსლიმანად, ხოლო ილოკი ქრისტიანად. ადამიანის ბუნება საკრალურად გამოიწრთობა. (ძველ მსოფლიო ენათა პრესტიჟი მშობლიურ ენებზეც კი უფრო მაღლა დგას, რომ არაფერი ვთქვათ ესპერანტოსა ან ვოლაპიუკზე, რომლებიც სრულიად იგნორირებულია). სწორედ იმ გარდაქმნამ, რომელიც საღვთო ენების საშუალებით გახდა შესაძლებელი, “ინგლისელს” რომის პაპად,⁸ “მანჯუს” კი ზეცის შვილად ქცევის საშუალება მისცა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საღვთო ენებმა დასაბამი მისცეს ისეთ ერთობებს, როგორიცაა საქრისტიანო, ამ საზოგადოებრივ გაერთიანებათა ჭეშმარიტი მოქმედების სფერო და დამაჯერებლობა მაინც არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ საღვთო დამწერლობით: ბოლოს და ბოლოს, ამ დამწერლობის მკითხველნი ხომ უწიგნურთა ოკეანეებში არსებულ წიგნიერების პატარა რიფებს წარმოადგენდნენ.⁹ უფრო სრული განმარტების გასაკეთებლად, საჭიროა თვალი გადავაკლოთ განათლებულ ადამიანთა ურთიერთობებს საზოგადოებასთან. უდავოდ შევცდებით, თუ პირველს თეოლოგიურ ტექნოკრატიად მივიჩნევთ. ენები, რომელთა საშუალებითაც განათლებული ხალხი ამყარებდა ურთიერთობას, შესაძლოა, ძნელად გასაგები ყოფილიყო, მაგრამ ეს სიძნელე არ იყო გამოწვეული “იურიდიული” ან “ეკონომიკური” ფარგონებით, რომელთა შემოტანა, საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად, თვითნებურად ხდებოდა. წიგნიერი

ნაწილში ბერძნული (ლათინურისგან განსხვავებით), ცოცხალ, ხალხურ სამეტყველო ენად დარჩა. ასეთი მოსაზრების ჩამოყალიბებაში ჩემზე დიდი გავლენა იქონია ჯუდიტ ჰერინმა.

8. 1154-1159 წწ. ნიკოლას ბრაქესპიერს პაპის ტიტული ჰქონდა სახელწოდებით ადრიან IV.

9. მარკ ბლოხი შეგვახსენებს, რომ “[შუა საუკუნეებში] ლორდების უმრავლესობა და ბევრი დიდი ბარონი, რომელსაც, თუმცა თხრობისა და ანგარიშის უნარი არ შესწევდა, ადმინისტრატორის ფუნქციას ასრულებდა.” “Feudal Society”, I, გვ. 81.

საზოგადოება უფრო იმ განათლებულ, სტრატეგიულ ფენას წარმოადგენდა კოსმოლოგიურ იერარქიაში, რომლის მწვერვალად სასულიერო პირი გვევლინებოდა.¹⁰ საყურადღებო მოსაზრებები “სოციალური ჯგუფების” შესახებ ცენტრისკენული და იერარქიული იყო და არა საზღვრებში მოქცეული. პაპის საოცარი ძალაუფლება თავისი გაფურჩქვნის პერიოდში გასაგები იყო მხოლოდ ტრანსევროპული ლათინური დამწერლობის მცოდნეთათვის. ასევე გასაგები იყო მსოფლიოს ცნებაც, რომელსაც, ფაქტიურად, ყველა იზიარებდა, ხოლო ორენოვანი ინტელიგენცია, რომელიც შუამავალს წარმოადგენდა ლათინურსა და ადგილობრივ ენას შორის, ასევე შუამავლის როლს ასრულებდა მიწასა და ზეცას შორის (ექსკომუნიკაციებისადმი მოკრძალებული შიშის განცდა კარგად ასახავს ამ კოსმოლოგიას).

და მაინც, რელიგიურად გაერთიანებული საზოგადოების ძლიერებისა და სიდიადის მიუხედავად, შუა საუკუნეების მიწურულს, მნიშვნელოვნად შესუსტდა მათი *გაუცნობიერებელი თანავრძობა* და გულშემატკივრობა ერთმანეთის მიმართ. მინდა ყურადღება გავამახვილო ამ დასუსტების მხოლოდ ორ მიზეზზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია ამ საზოგადოების განსაკუთრებულ რელიგიურ სიფაქიზესთან.

პირველი იყო ის შედეგი, რომელიც არაევროპული სამყაროს გამოკვლევის საფუძველზე იქნა მიღებული და რომელმაც მნიშვნელოვნად, თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ ევროპაში, “გააფართოვა კულტურული და გეოგრაფიული პორიზონტი და შესაბამისად, შეცვალა შეხედულება ცხოვრებაზე”.¹¹ ეს პროცესი აშკარად აისახა ევროპელი ავტორების ყველაზე უფრო პოპულარულ ნაშრომებში მოგზაურობათა შესახებ. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ

10. ამით იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ უწიგნურები არ კითხულობდნენ. საქმე ისაა, რომ ისინი თვალთ არა სიტყვებს, არამედ ვიზუალურ სამყაროს აღიქვამდნენ. “ყველა იმ ადამიანის თვალები, ვისაც უნარი შესწევდა გაეაზრებინა მატერიალური სამყარო, გარკვეული სახის გარესაფარველის გარდა, კერაფერს ხედავდა. ამ გარესაფარველის მიღმა კი ვითარდებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. ისინი ამ სამყაროს ისეთ ენადაც მიიჩნევდნენ, რომლის მიზანს შეადგენდა ნიშნების საშუალებით უფრო ღრმა რეალობის გამოხატვა”. იქვე, გვ. 83.

11. Erich Auerbach, “Mimesis”, გვ. 282.

ყუბილაი ყაენის პიროვნების მოკრძალებული აღწერა, რომელიც დათარიღებულია მეცამეტე საუკუნის მიწურულით და რომლის ავტორიც ვენეციელი ქრისტიანი მარკო პოლოა:¹²

“დიდებული ყაენი, გამარჯვების უწყების მიღებისთანავე დიდი ტრიუმფითა და ხარ-ხეიმით დაბრუნდა ხან-ბალუს დედაქალაქში. ეს მოხდა ნოემბრის თვეში, მაგრამ ყაენმა თებერვლისა და მარტის თვეებიც იქ გაატარა. მარტში დადგა ჩვენი აღდგომა. ყაენმა იცოდა, რომ ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული და ბრძანა, რომ ყველა ქრისტიანი ხლებოდა მას თავისი ბიბლიით ხელში, იმ წიგნით, რომელიც ახალი აღთქმის ოთხივე სახარებას შეიცავდა. გუნდრუკის კმევის ცერემონიის შემდეგ, ის მოწიწებით ემთხვია ბიბლიას და ყველა იქ მყოფ დიდგვაროვანს იგივეს გაკეთება უბრძანა. ის ჩვეულებრივ ასე იქცეოდა ხოლმე ისეთ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, როგორც იყო აღდგომა და შობა. იგივეს აკეთებდა მუსლიმანების, ებრაელებისა და კერპთაყვანისმცემელთა დღესასწაულებზეც. როცა ყაენს თავისი საქციელის მიზეზს ეკითხებოდნენ, ის ამბობდა: “კაცობრიობის სხვადასხვა ჯგუფები თავიანთ სცემენ და მოკრძალებით ეპყრობიან ოთხ დიდ წინასწარმეტყველს. ქრისტიანები თავიანთ ღვთაებად იესო ქრისტეს მიიჩნევენ, სარკინოხები - მაჰმადს, ებრაელები - მოსეს, ხოლო კერპთაყვანისმცემლები სოგომომბარ-ხანს, რომელიც ყველაზე სახელგანთქმულია მათ კერპებს შორის. მე პატივს ვცემ ოთხივე მათგანს და არც ვმაღავ ამ პატივისცემას, როცა დახმარებას ვთხოვ იმას, რომელიც ჭეშმარიტად უზენაესია. მაგრამ მისი უდიდებულესობის საქციელი აშკარად მიანიშნებდა იმას, რომ ჭეშმარიტ რწმენად ის ქრისტიანობას თვლიდა...”

ამ ნაწევებიდან აღსანიშნავია არა იმდენად დიდი მონღოლი მბრძანებლის რელიგიური რელატივიზმი (ეს მაინც რელიგიური რელატივიზმია), რამდენადაც მარკო პოლოს საქციელი და მტყვევლება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი ქრისტიანებისთვის წერს, ის მაინც არ აძლევს თავს იმის უფლებას, რომ ყუბილაის ფარისეველი ან კერპთაყვანისმცემელი უწოდოს. (ეჭვი არაა, რომ

12. Marco Polo, "The Travels of Marco Polo", გვ. 158-159. კომენტარების დართვით. მაქციეთ ყურადღება, რომ სახარებას ჰკოცნიან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც არ კითხულობენ.

ეს პატივისცემა ბევრი სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, კერძოდ, “ტერიტორიის გაფართოებითა თუ შემოსავლების გაზრდით, იმით, რომ ის ყველა იმ მუყეზე მალლა დგას, რომელიც კი მანამდე ყოფილა, ან ახლა მეფობს”.¹³ სიტყვა “ჩვენის” გაუცნობიერებელი ხმარებით (რომელიც შემდგომში “მათი” ხდება) და ქრისტიანობის, როგორც ნამდვილად ჭეშმარიტი რწმენის აღიარებით, აშკარად ჩანს ავტორის დამოკიდებულება სარწმუნოების მიხედვით ტერიტორიების განაწილებისადმი. მსგავსი დამოკიდებულება დამახასიათებელია ნაციონალისტთა უმრავლესობისათვის (“ჩვენი” ერი “საუკეთესოა” – *მეტოქეთავან* მას ვერავინ შეედრება).

სპარსული მოგზაური “რიკა” შთამბეჭდავ კონტრასტს გვთავაზობს თავისი მეგობრის “იბენისადმი” 1712 წ. პარიზიდან მიწერილი წერილის შესავალში:¹⁴

‘პაპი ქრისტიანთა წინამძღოლია. ისაა ძველთაძველი კერპი, რომელსაც თავყანს სცემენ ადათის გამო. ერთ დროს ის საშიშ ძალას წარმოადგენდა პრინციპისათვის, რადგან ისევე ადვილად შექმლო მათი ტახტიდან ჩამოვდება, როგორც ეს ჩვენს დიდებულ სულთანებს ძალუძთ ირემეტასა* თუ საქართველოში. მაგრამ დღეს მისი აღარავის ეშინია. ის ამტკიცებს, რომ უძველესი ქრისტიანების, კერძოდ წმინდა პეტრეს მეტყვიდრეა და ეს მართლაც მდიდარი მეტყვიდრობაა, რადგან განძსაც აურაცხელს ფლობს და დიდ ქვეყანასაც თავის კონტროლს უქვემდებარებს.’

მეთვრამეტე საუკუნის კათოლიკეთა წინასწარგამიზნული ნაყალბეები იმ გულუბრყვილო რეალიზმს ასახავს, რომელიც მათ წინაპრებს ახასიათებდათ მეცამეტე საუკუნეში. მაგრამ ამჟამად, “რელატივიზაცია” და “ტერიტორიალიზაცია” სრულიად გაცნობიერებულია და პოლიტიკური მოსაზრებითაა გამოწვეული. ვანა საღ აზრთან შეუფერებელია ამ განვითარებადი ტრადიციის პარადოქსული გარდაქმნა, რაც გამოიხატება იმაში, რომ აიათოლა რუპოლა ხომეინს დიდ სატანად, ერესად ან დემონურ პერსონაჟად კი არა, არამედ *ერად*, სახელმწიფოდ აღიარებენ?

13. “The Travels of Marco Polo”, გვ. 152.

14. Henry de Montesquieu, “Persian Letters”, გვ. 81. “Persian Letters” პირველად 1721წ. გამოჩნდა

*. როგორც ჩანს, იგულისხმება იმერეთი (მთარგმნელის შენიშვნა).

მეორე მიზეზი იყო თავად საღვთო ენის თანდათანობითი დაკნინება. ბლოხი, როცა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაზე წერდა, აღნიშნავდა, რომ “ლათინური არა მარტო ის ენა იყო, რომლითაც ასწავლიდნენ, არამედ წარმოადგენდა იმ ერთადერთ ენას, რომელსაც ასწავლიდნენ.”¹⁵ (ეს “ერთადერთობა” საკმაოდ ნათლად აჩვენებს, რომ ლათინური საღვთო ენად იყო მიჩნეული – არც ერთი სხვა ენა არ ითვლებოდა იმის ღირსად, რომ მასზე სწავლება ეწარმოებინათ). მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგი დიდი ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა. ამ ცვლილებათა მიზეზებზე შეჩერებას საჭიროდ არ ვთვლი: კაპიტალისტური ბეჭდური პროდუქციის უდიდესი მნიშვნელობა ქვემოთ იქნება განხილული. მისი მასშტაბისა და ტემპის გახსენებაც კი სრულიად საკმარისია. ფებრმა და მარტინმა გამოიანგარიშეს, რომ იმ წიგნების 77%, რომლებიც 1500 წლამდე დაიბეჭდა, ლათინურ ენაზე იყო დაწერილი (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ნაბეჭდი წიგნების 23% უკვე ადგილობრივ ენაზე იყო შესრულებული).¹⁶ თუ 1501 წ. პარიზში დაბეჭდილი 88 გამოცემიდან, 8 წიგნის გარდა ყველა ლათინურ ენაზე იყო შესრულებული, 1575 წლის შემდეგ მათი უმეტესობა ფრანგულ ენაზე იბეჭდებოდა.¹⁷ კონტრეფორმაციის დროს, დროებითი დაბრუნების მიუხედავად, ლათინურის ჰეგემონია დაგმობილ იქნა. ჩვენ არ ვსაუბრობთ უბრალოდ პოპულარობაზე. ცოტა მოგვიანებით, ლათინურმა, საკმაოდ თავბრუდამხვევი სისწრაფით, დაკარგა პანევროპული მაღალი ინტელიგენციის სალაპარაკო ენის სტატუსი. მეჩვიდმეტე საუკუნეში პოპსი (1588-1678) იმიტომ ითვლებოდა დიდებულ ფიგურად კონტინენტზე, რომ წერდა ჭეშმარიტ ენაზე. მეორეს მხრივ, შექსპირი (1564-1616), რომელიც შობლიურ ენაზე ქმნიდა თავის ნაწარმოებებს, ლამანშს იქით, ფაქტიურად, უცნობი იყო,¹⁸ ხოლო 200 წლის შემდეგ ინგლისური მსოფლიო პოპულარობის მქონე საყოველთაო ენად რომ არ ქცეულიყო, საინტერესოა, დარჩებოდა თუ არა

15. Bloch, “Feudal Society”, I, გვ. 77. კომენტარების დართვით.

16. Lucien Febvre and Henry-Jean Martin, “The Coming of the Book”, გვ. 248-249.

17. იქვე, გვ. 321.

18. იქვე, გვ. 330.

შექსპირი კუნძულზე მცხოვრებ უცნობად? ამასობაში, ამ ხალხის თანამედროვენი, რომლებიც ლამანშს იქით ცხოვრობდნენ, კერძოდ დეკარტი (1596-1650) და პასკალი (1623-1662) თავიანთი კორესპონდენციის უმეტეს ნაწილს ლათინურად აწარმოებდნენ. ვოლტერის(1694-1778) ყველა ნაწარმოები კი მშობლიურ ენაზე იყო შესრულებული.¹⁹ “1640 წლის შემდეგ, როცა სულ უფრო და უფრო ნაკლები წიგნები ქვეყნდებოდა ლათინურ ენაზე და მეტი წიგნები გამოდიოდა ადგილობრივ ენებზე, ბეჭდვა უკვე კარგავდა საერთაშორისო [sic] სტატუსს”.²⁰ ერთი სიტყვით, ლათინურის დაცემამ დასაბამი მისცა უფრო დიდ პროცესს, რომელშიც მიმდინარეობდა საღვთო ენებით გაერთიანებულ საზოგადოებათა თანდათანობითი დაცალკეების, გამრავლებისა და ტერიტორიულ სივრცეში განაწილების პროცესი.

დინასტიური სამეფო

დღესდღეობით ალბათ ძნელია იმ პერიოდის წარმოდგენა, როცა დინასტიურ სამეფოს ერთადერთ “პოლიტიკურ” სისტემად მიიჩნევენ. მთელი “სერიოზულობით” შეიძლება ითქვას, რომ მონარქიის იდეა განსაზღვრავს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ყველა კონცეფციას. მეფობის იდეა ყველაფერს აფუძნებს და აერთიანებს ცენტრის ირგვლივ. მისი ლეგიტიმურობა ლეთისგან მომდინარეობს და არა მოსახლეობისგან, რომელიც ქვეშევრდომად უფრო მოიაზრება, ვიდრე მოქალაქედ. თანამედროვე გაგებით, სახელმწიფო სუვერენიტეტი სრულყოფილად, მტკიცედ და

19. იქვე, გვ. 331-332.

20. იქვე, გვ. 232-233. ფრანგული ორიგინალი უფრო თანამედროვე და ისტორიულად უფრო ზუსტია: ‘Tandis que l’on edite de moins en moins d’ouvrages en latin, et une proportion toujours plus grande de textes en langue nationale, le commerce du livre se morcelle en Europe’. ‘L’Apparition du Livre’, („მაშინ, როდესაც ნაშრომებს სულ უფრო და უფრო ნაკლებად გამოსცემენ ლათინურ ენაზე, ხოლო ტექსტების გამოცემა ნაციონალურ ენაზე დიდი რაოდენობით იზრდება და პროგრესულად მიმდინარეობს, ევროპაში წიგნით ვაჭრობა “ქუცმაცდება”), გვ.356

თანაბრად ვრცელდება დაკანონებული, სადემარკაციო ხაზგავლებული ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე. მაგრამ ძველი შეხედულებების თანახმად, სახელმწიფოებად ითვლებოდნენ ცენტრები, ხოლო საზღვრები კი იმდენად გაურკვეველი იყო, რომ სხვადასხვა სუვერენული სახელმწიფოები თანდათან შეუძნეველად ერწყმოდნენ და უერთდებოდნენ ერთმანეთს.²¹ დღეს პარადოქსულია ისიც, თუ რა იოლად ახერხებდნენ ძველი იმპერიები და სამეფოები, ემართათ სხვადასხვა, ხშირად საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებიც კი.²²

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ძველი მონარქიული სახელმწიფოები გაფართოვდნენ არა მხოლოდ ომების, არამედ დინასტიურ ქორწინებათა გზითაც – რასაც ნამდვილად არა აქვს ადგილი თანამედროვე ეპოქაში. დიდგვაროვანთა შეუღლების გზით, დინასტიური ქორწინებების შედეგად, ხდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოთა მოსახლეობის შეერთება. ამ თვალსაზრისით, პარადიგმული იყო ჰაბსბურგის სახლი. როგორც ციტატა გვამცნობს *'Bella gerant alii tu felix Austria nube!'* ქვემოთ შემოკლებული ფორმით გადმოვცემთ დინასტიის გვიანდელ ტიტულებს.²³

21. მაქციეთ ყურადღება მმართველთა ნომენკლატურის გადაადგილებას, რომელიც ამ ტრანსფორმაციას შესატყვისება. სკოლის მოსწავლეებს ახსოვთ მონარქების სახელები (რა გვარი იყო უილიამ დამპყრობელი?), პრეზიდენტების გვარები (რა იყო ებერტის ნათლობის სახელი?). მოქალაქეთა სამყაროში, სადაც თეორიულად ყველას აქვს პრეზიდენტობის უფლება, შეზღუდულია "ქრისტიანული" სახელების რაოდენობა, რაც ნომინაციის არაადეკვატურ ბუნებას განსაზღვრავს. თუმცა, მონარქიებში, სადაც წესები მკაცრადაა დაცული იმასთან დაკავშირებით, რომ პიროვნებას მხოლოდ ერთი გვარი უნდა ჰქონდეს, აუცილებელი განსხვავების აღნიშვნა სწორედ "ქრისტიანული" სახელების საშუალებით ხდება, მაგრამ ამ სახელებს ემატება მეტსახელები და ნომრები.

22. აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნაირნი უდავოდ მართალია, როცა ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანების აქტს, რომელიც 1707წ. განხორციელდა, "პატრიციულ გარიგებას" უწოდებს. იგულისხმება, რომ ამ კავშირის შემოქმედნი არისტოკრატი პოლიტიკოსები იყვნენ (იხილეთ მისი დამაჯერებელი მსჯელობა წიგნში "The Break-up of Britain", გვ. 136). და მაინც ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ასეთი გარიგება ორი რესპუბლიკის არისტოკრატთა შორის დაიდო. კონცეფცია გაერთიანებული სამეფო, უდავოდ იმ გადამწყვეტი მედიატორის ფუნქციის მქონე ელემენტს წარმოადგენდა, რომელმაც აღნიშნული გარიგება შესაძლებელი გახადა.

23. Oscar Jászi, "The Dissolution of the Habsburg Monarchy", გვ. 34.

ავსტრიის იმპერატორი; მეფე უნგრეთის, ბოჰემიის, დალმაციის, ხორვატიის, სლავონიის, გალიციის, ლოდომერიისა და ილირიის; მეფე იერუსალიმის და ა.შ. ავსტრიის ერცჰერცოგი [sic]. ტოსკანისა და კრაკოვის დიდი ჰერცოგი; ლოტარინგიის, ზალცბურგის, შტირიის, კარინტიის, კარნიოლის და ბუკოვინას ჰერცოგი; ტრანსილვანიის დიდი ჰერცოგი, მორავიის მარკგრაფი, ზემო და შუა სილეზიის, მოღენას, პარმას, პიაცენზასა და გუასტელას, აუსშვიცის და სატორის, ტეშენის, ფრიულის, რაგუსასა და ზარას ჰერცოგი; პაბსბურგის, ტიროლის, კიბურგის, გორჯისა და გრადისკას ბრწყინვალე გრაფი; ტრიენტისა და ბრიზენის ჰერცოგი, ზემო და ქვემო ლაუზიტციისა და ისტრიის მარკგრაფი; ჰოჰენჰემსის, ფელდკირხის, ბრეგენზის, სონენბერგისა და ა.შ. გრაფი; ტრიესტის, კატაროს და ვინდიშ მარკის მთავარი; ვოევილინას, სერვიის და ა.შ. დიდი ვოევილი;

როგორც ჯასში სამართლიანად შენიშნავს, “გარკვეულწილად კომიკურიც კი იყო ... მონაცემები უთვალავი ქორწინებების, ქუჩაში გაჩაღებული ვაჭრობისა და პაბსბურგების ნადავლის შესახებ”.

სამეფოებში, სადაც მრავალცოლიანობა რელიგიურად სანქცირებული იყო, ცოლების მრავალიარუსიანი რთული სისტემა არსებითი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა სამეფოს გაერთიანებისათვის. ფაქტურად, შერეული ქორწინების შედეგად მიღებული სამეფო მოღვაძე, ღვთაებრივი აურის გარეშეც კი საკმაოდ პრესტიჟული ხდებოდა.²⁴ შერეულ წყვილებს გარკვეული

24. ყველაზე შესამჩნევია აზიაში იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებდა თანამედროვე ეპოქას, მაგრამ იგივე პრინციპი მოქმედებდა მონოგამიურ ქრისტიანულ ევროპაშიც. 1910წ. ვინმე ოტო ფორსტმა სააშკარაოზე გამოიტანა თავისი Ahnentafel Seiner Kaiserlichen und Küniglichen Hoheit des durchlauchtigsten Herrn Erzherzogs Franz Ferdinand. ჩამოთვლილია ერცჰერცოგის 2.047 წინაპარი, რომელთა მკვლელობაც სასწრაფოდ უნდა განხორციელებულიყო. სიაში შედიოდა 1486 გერმანელი, 124 ფრანგი, 196 იტალიელი, 89 ესპანელი, 52 პოლონელი, 47 დანიელი, 20 ინგლისელი და, ასევე 4 სხვა ეროვნების ადამიანი. ამ “უჩვეულო დოკუმენტის” ციტირებას იხილავთ იქვე, გვ. 136, №1. ამ შემთხვევაში, გამიჭირდება თავის შეკავება ფრანც იოსების შესანიშნავი რეაქციის ციტირებისგან, რომელიც მან გამოხატა თავისი ახირებული კანონიერი მემკვიდრის მკვლელობის ამბებთან დაკავშირებით: “ამგვარად, უმაღლესმა ხელისუფლებამ აღადგინა ის წესობა, რომელიც მე, სამწუხაროდ, ვერ შევინარჩუნე” (იქვე, გვ. 125).

უპირატესობაც კი ენიჭებოდათ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეთერთმეტე საუკუნიდან “ინგლისური” დინასტია აღარ მართავდა ლონდონს (საკითხავია, მართავდა კი მანამდე?), ასევე გაუგებარია, რა “ეროვნებას” უნდა მივაკუთვნოთ ბურბონები?²⁵

მეჩვიდმეტე საუკუნეში - იმ მიზეზების გამო, რომლებზეც არ ვთვლით საჭიროდ გაჩერებას - დასავლეთ ევროპის საღვთო მონარქიის კანონიერება თანდათანობით შესუსტდა. 1649 წ., როცა განხორციელდა თანამედროვე ეპოქის პირველი რევოლუცია, თავი მოკვეთეს ჩარლზ სტიუარტს. 1650-იან წლებში ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოს მეფის ნაცვლად მღაბიო პროტექტორი მართავდა. თუმცა პოუპისა და ადისონის ეპოქაშიც კი ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა მეფის ხელი მკურნალის როლს ასრულებდა. ასე კურნავდა ანა სტიუარტი ავადმყოფებს, იგივე ხდებოდა განმანათლებლობის ეპოქის საფრანგეთშიც, სანამ ძველი რეჟიმი დასრულდებოდა. იქ კურნავდნენ ბურბონები - ლუი XV და ლუი XVI.²⁶ მაგრამ 1789 წლის შემდეგ, როცა კანონის უზენაესობა გაბატონდა, “მონარქიამ” უკვე ნახევრად სტანდარტული მოდელის სახე მიიღო. ტენო და “ზეცის ძე” გახდნენ “იმპერატორები”: შორეულ სიამში რამა V-მ (ჩულალონგკორნი) საკუთარი ვაჟები და ძმისშვილები გაგზავნა სანკტ-პეტერბურგის, ლონდონისა და ბერლინის სამეფო კარზე ცოდნის მისაღებად. 1887 წ. მან მოახდინა მემკვიდრეობის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია, რომლის მიხედვითაც პირველი ძე მემკვიდრე ხდებოდა. მეფის ამგვარმა საქციელმა, სიამი ევროპის “ცივილიზებულ” მონარქიათა რიგებში ჩააყენა,²⁷ მაგრამ იგივე სისტემის მიზეზით, სამეფო ტახტი წილად ხვდა თავზეხელაღებულ პომოსექსუალისტს, რომელსაც ადრე ნამდვილად არავინ გაამეფებდა.

25. გელნერი ყურადღებას ამახვილებს დინასტიათა დამახასიათებელ თვისებაზე, რომელიც უცხოური წარმოშობისთვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატება. მაგრამ ამ ფენომენს ის ძალიან ვიწრო ინტერპრეტაციას უკეთებს: “ადგილობრივი არისტოკრატები უცხოელ მონარქს ამჯობინებდნენ, რადგან შიდა მეტოქეობის დროს ის არავის მიემხრობოდა”. “Thought and Change”, გვ. 136.

26. Marc Bloch, “Les Rois Thaumaturges”, გვ. 390 და 398-399.

27. Noel A. Battye, “The Military, Government and Society in Siam 1868-1910”, PhD thesis, Cornell, 1974, გვ. 270.

მონარქიებმა კი მხარი დაუჭირეს მას, როცა ბრიტანეთის, რუსეთის, საბერძნეთის, შვეციის, დანიისა და იაპონიის წარმომადგენლები მის კორონაციას დაესწრნენ და, ამგვარად, დაუმოწმეს რამა VI-ს პრინცად კურთხევა.²⁸

1914 წლამდე დინასტიური სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკური სისტემის წევრთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ, როგორც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ, ბევრი მეფე გარკვეული დროის მანძილზე ცდილობდა “ნაციონალური” მხარდაჭერის მიღწევას, რადგან ლეგიტიმურობის ძველი პრინციპი დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ხუნდებოდა. მაშინ, როდესაც ფრიდრიხ დიდის (1740 –1786) ჯარები თავის რიგებში უამრავ “უცხოელს” ითვლიდა, მისი დიდი ძმისშვილის - ფრიდრიხ ვილჰელმ III-ის (1797-1840) ჯარები შარნჰორსტის, გნაიზენაუსა და კლაუზევიცის მიერ გატარებული ეფექტური რეფორმების შედეგად, მხოლოდ “ეროვნული - პრუსიელებით დაკომპლექტებული” იყო.²⁹

მოსაზრებანი დროის შესახებ

გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ ერთა წარმოსახვითი საზოგადოებანი, ერთის მხრივ, რელიგიურ ერთობათა წიაღსა და დინასტიურ სამეფოში აღმოცენებულ, მეორეს მხრივ კი, მათ შემცველ მოვლენად მიგვეჩნია. გარდა იმისა, რომ საღვთო ერთობებმა, ენებმა და საგვარეულო ჩამომავლობამ საყურადღებო დეგრადაცია განიცადეს, მნიშვნელოვნად იცვლებოდა სამყაროს

28. Stephen Greene, “Thai Government and Administration in the Reign of Rama VI (1910-1925)”, PhD thesis, University of London 1971, გვ. 92.

29. 1806წ. პრუსიული არმიის 7000-8000 კაციან ოფიცერთა სიაში 1000-ზე მეტი უცხოელი იყო. “საკუთარ არმიაში საშუალო კლასის პრუსიელებს უცხოელები სჭარბობდნენ. ეს სწორ ახსნას უძებნიდა გამოთქმას, რომლის თანახმად, პრუსია ქვეყანა კი არ იყო, რომელსაც არმია ჰქაუდა, არამედ სწორედ არმიას წარმოადგენდა, რომელსაც ქვეყანა ჰქონდა”. 1798წ. პრუსიელმა რეფორმატორებმა “უცხოელების რაოდენობის სანახევროდ შემცირება მოითხოვეს. ეს უცხოელები რიგითების 50%-ს შეადგენდნენ...” Alfred Vagts, “A History of Militarism”, გვ. 64 და 85.

აღქმა, რამაც ყველა სხვა არსებულ მიზეზზე მეტად, საფუძველი ჩაუყარა ერის ცნებაზე სერიოზულ "ფიქრსა" და განსჯას.

ამ ცვლილებას კარგად შევიგრძნობთ, თუკი დაუბრუნდებით საკრალური ერთობების ისეთ თვალსაჩინო რეპრეზენტაციებს, როგორიცაა შუა საუკუნეების ეკლესიათა რელიეფები და ვიტრაჟები, წარსულ საუკუნეთა იტალიელ ან ფლამანდიელ მხატვართა ტილოები. ასეთ ქმნილებებს ჩვეულებრივ ახასიათებთ არამართებული გარეგნული ანალოგია "დღევანდელობასთან". მეცხვარეები, რომლებიც ქრისტეს შობას დაესწრენ, ბურგუნდიელი გლეხის გარეგნობისანი არიან. ქალწული მარიამი ტოსკანიელი ვაჭრის ქალიშვილადაა წარმოდგენილი. ბევრ ტილოზე კი ქალაქელისა თუ კეთილშობილი დიდებულის კოსტიუმში გამოწყობილი ბატონი, თაყვანისცემის ნიშნად მეცხვარეების გვერდით დაჩოქილია გამოსახული. იმას, რაც უაზროდ გვეჩვენება დღეს, სრულიად ბუნებრივად აღიქვამდნენ შუა საუკუნეების ღვთის მსახურთა თვალები. ჩვენს წინაშეა სამყარო, რომელშიც წარმოსახვითი რეალობის ასახვა მეტწილად ვიზუალურად და სმენით ხდებოდა. ქრისტიანობამ მიიღო საყოველთაო ხასიათი მისთვის დამახასიათებელი მრავალი თვისებით: ამ რელიეფებით და იმ ვიტრაჟებით, ამ წირვითა და იმ ამბით, ამ ზნეობრივი პიესითა და იმ რელიქვიით. არავერობელი მწიგნობრები, რომლებიც ლათინურ ენაზე კითხულობდნენ, ქრისტიანული წარმოსახვის შესაქმნელ არსებით ელემენტს განასახიერებდნენ, ხოლო შუამავლობა ამ ცნებებსა და უწიგნურ მასებს შორის, არანაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტორს წარმოადგენდა. ხელოვნების ვიზუალური და ხმოვანი ქმნილებები ყოველთვის ინდივიდუალური და განსაკუთრებული იყო. ყველამ იცოდა, რომ მოკრძალებული მღვდელი შუაკაცი იყო მრევლსა და ღმერთს შორის. ამ იმქვეყნიურ-საყოველთაოსა და ამქვეყნიურ-განსაკუთრებულის შედარებაში იგულისხმებოდა, რომ, რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო საქრისტიანო, და ეს მართლაც ასე იყო, მაინც ხდებოდა გარკვეულ შვაბურ და ანდალუზიურ საზოგადოებებთან მისი მსგავსების მრავალმხრივი ფორმით წარმოჩინება. ქალწულ მარიამის "სემიტური" თვისებებით შემკობა ან მისი "პირველი საუკუნის" სამოსში გამოწყობა წარმოუდგენელია თანამედროვე მუზეუმების აღორძინებული სულისთვის, რადგან შუა საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებით,

ისტორია არ წარმოადგენდა მიზეზთა და შედეგთა დაუსრულებელ ჯაჭვს ან აწმყოსა და წარსულის რადიკალურ განცალკევებას.³⁰ ბლოხის დაკვირვებით, ხალხი ფიქრობდა, რომ ახლოს იყო სამყაროს დასასრული, მათ სჯეროდათ, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მომხდარიყო: წმინდა პავლეს უთქვამს, “უფლის მეორედ მოსვლის დღე ისე მოვა, როგორც ქურდი ღამით”. მეთორმეტე საუკუნის მემატიანე, ეპისკოპოსი ოტო ფრაისინგელი დაუსრულებლად იმეორებდა: “ჩვენ ქვეყნის აღსასრული უნდა ვიხილოთ”. ბლოხმა დაასკვნა, რომ როგორც კი შუა საუკუნეების ადამიანებმა “უარყვეს მედიტაცია, არაფერი იყო ისე შორს მათი ფიქრებისგან, როგორც ახალგაზრდა და ენერგიული კაცობრიობისათვის ხანგრძლივი მომავლის პერსპექტივა”.³¹

სწორედ ასეთი ცნობიერების შესახებაა აუერბახის დაუვიწყარი ნარკვევი:³²

“თუ ისააკის მსხვერპლშეწირვის მსგავსი ფაქტი ახსნილია, როგორც ქრისტეს თავგანწირვის წინამორბედი მოვლენა, ისე რომ პირველ მსხვერპლში მეორეც გათვალისწინებულია, როგორც წინასწარ განჭვრეტილი და მოსალოდნელი, მეორე კი პირველის “დაგვირგვინებას” წარმოადგენს, მაშინ კავშირი ამ ორ შემთხვევას შორის უდავოდ არსებობს, მაგრამ ის არც წარმავალია და არც კაუხალური – ეს არის კავშირი, რომლის დამტკიცება შეუძლებელია პორიზონტალურ განზომილებაში არსებული რაიმე მოსაზრებით... მისი დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მოვლენას უშუალოდ დაუკავშირებთ ღვთაებრივ განგებას, რომელსაც იმის უნარიც შესწევს, რომ თავად წარმართოს ისტორია, და იმისაც, რომ შესაძლებელი გახადოს მისი გაცნობიერება... ცნებები აქ და ახლა უკვე აღარ ასახავენ უბრალო დამაკავშირებელ

30. ჩვენთვის, “თანამედროვე სამოსის” აზრი, რომელიც წარსულისა და აწმყოს მეტაფორული გათანაბრებაა, მათი ფატალური განცალკევების ორაზროვან აღიარებას წარმოადგენს.

31. Bloch, “Feudal Society”, I, გვ. 84-86.

32. Auerbach, “Mimesis”, გვ. 64. კომენტარების დართვით. შეადარეთ ძველი აღთქმის წმინდა ავგუსტინისეულ აღწერას, სადაც ის წარმოადგენილია როგორც “მომავლის აჩრდილი” [ე.ი. პირვანდელ მდგომარეობაშია დაბრუნებული], ციტირებულია ბლოხის მიერ, “Feudal Society”, I, გვ. 90.

რგოლებს სამყაროს მოვლენათა ჯაჭვში, ისინი, ამავე დროს, რაღაც ისეთსაც გულისხმობენ, რაც მუდამ ერთდროულად არსებობდა და, ეჭვი არაა, რომ მომავალშიც იარსებებს. უფრო ზუსტად, უფლის თვალთახედვით, ეს საყოველთაო მოვლენის ის რგოლია, რომელიც ერთდროულად მარადიულიცაა, წარმავალიც და სრულქმნილიც”.

აუერბახი სწორად აღნიშნავს, რომ ერთდროულობის ასეთი იდეა სრულიად უცხოა ჩვენთვის. იგი დროს განიხილავს როგორც რაღაც მსგავსს იმისა, რასაც ბენჯემინი მესიანისტურ დროს უწოდებს, რაც გულისხმობს წარსულის და მომავლის ერთდროულობას მყისიერ აწმყოში.³³ მოვლენათა ასეთი ხედვის თვალსაზრისით, სიტყვა “ამასობაში” კარგავს თავის მნიშვნელობას.

ერთდროულობის შესახებ ჩვენი კონცეფციის ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, და მისი წარმოშობა უდავოდ მეცნიერებების სეკულარიზაციას უკავშირდება, რაც სათანადო გამოკვლევას საჭიროებს. ეს ცნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი სრულყოფილად გაანალიზების გარეშე, ნაციონალიზმის ბნელით მოცული წარმოშობის მოკვლევაც გაგვიჭირდება. დროთა განმავლობაში, შუა საუკუნეებში გაჩენილი დროის ცნება - ერთდროულობა - განმავლობაში, თუ ისევ ბენჯემინს დავესესხებით, შეცვალა “ერთფეროვანი, უშინაარსო დროის” იდეამ, სადაც ერთდროულობა ახსნილია როგორც გადამკვეთი, თანმხვედრი დრო, რომელიც არც ხატოვნად წარმოიდგინება და არც შეივსება. მისთვის დამახასიათებელია ტემპორალური თანადამთხვევა, ხოლო მის საზომად კი მიჩნეულია საათი და კალენდარი.³⁴

ის, თუ რატომ ენიჭება ამ ტრანსფორმაციას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ეროვნული წარმოსახვითი საზოგადოების შექმნის პროცესში, აბსოლუტურად გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ წარმოსახვის ორი ფორმის ძირითად სტრუქტურას, რომელსაც პირველად მეთვრამეტე საუკუნის

33. Walter Benjamin, “Illuminations”, გვ. 265.

34. იქვე, გვ. 263. ეს ახალი მოსაზრება იმდენად ღრმააზროვანია, რომ შეიძლება ვინმე იმის მტკიცებასაც მოჰყვეს, თითქოს ყველა ძირითადი თანამედროვე კონცეფცია ეფუძნება იმ მნიშვნელობას, რომელიც გააჩნია სიტყვას “ამასობაში”.

ვერობაში ჩაეყარა საფუძველი. ესენია: რომანი და გაზეთი.³⁵ სწორედ ამ ფორმების დახმარებით გახდა შესაძლებელი იმ ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭირო იყო წარმოსახვითი საზოგადოების ისეთი ნაირსახეობის “რეპრეზენტაციისათვის”, როგორცაა ერი.

პირველ ყოვლისა, წარმოვიდგინოთ ძველი რომანის ავტობიოგრაფია, რომელიც ტიპურია არა მხოლოდ ბალზაკის შედევრებისთვის, არამედ ნებისმიერი თანამედროვე იაფფასიანი რომანისთვისაც. ის აშკარად კარგი საშუალებაა, ერთის მხრივ “ერთფეროვან, უშინაარსო დროში” თანადროულობის წარმოსაჩენად, მეორეს მხრივ კი, სიტყვისათვის “ამასობაში” რთული განმარტების მოსაძებნად. ზემოთქმულის დასადასტურებლად, განვიხილოთ რომანის მარტივი სიუჟეტის პატარა მონაკვეთი, რომელშიც კაცს (A) ჰყავს ცოლი (B) და საყვარელი (C), რომელსაც თავის მხრივ, ჰყავს სხვა საყვარელიც (D). ვცადოთ, ასეთი თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ დროის განრივი:

დრო: I

მოვლენები:

A ეჩხუბება B-ს

C და D სიყვარულით ტყბებიან

დრო: II

მოვლენები:

A ურეკავს C-ს

B მიდის მაღაზიებში

D თამაშობს ბილიარდს

35. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპა დე კლევი ვერ კიდევ 1678წ. გამოვიდა ასპარეზზე, რიჩარდსონის, დეფოსა და ფილდინგის ხანად მაინც მეთურაძეტი საუკუნის დასაწყისი ითვლება. თანამედროვე გაზეთის წარმოშობა დაკავშირებულია მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლო პერიოდის პოლანდიურ პრესასთან. მაგრამ გაზეთი ბეჭდვითი მასალის ძირითად კატეგორიად მხოლოდ 1700 წლის შემდეგ იქცა. Febvre and Martin, “The Coming of the Book”, გვ. 197.

დრო: III
მოვლენები:

D თვრება ბარში
A სადილობს შინ B-სთან ერთად
C ხედავს ცუდ სიზმარს

მიაქციეთ ყურადღება, რომ მოვლენათა მსვლელობისას A და D არ ხვდებიან ერთმანეთს, და თუ C თვალთმაქცობას კარგად ართმევს თავს, შესაძლოა, არც არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ.³⁶ მაშინ რა აკავშირებს A-ს D-სთან? გთავაზობთ ორ დამატებით მოსაზრებას: პირველი – ისინი არიან “საზოგადოების” წევრები (უესექსის, ლიუბეკის, ლოს ანჟელესის), ეს საზოგადოება კი წარმოადგენს მყარი და სტაბილური რეალობის სოციოლოგიურ არსს, სრული შესაძლებელია, რომ მისი წევრები (A და D) შემთხვევით პირისპირაც შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ ერთმანეთის ვინაობის შესახებ. და მაინც, მათ შორის გამოკვეთილი კავშირი არსებობს.³⁷ მეორე – A-სა და D-ს შესახებ იცის მკითხველმა, და, ისევე როგორც უფლისთვის, რომელიც ზევიდან ხედავს ყველაფერს, მკითხველისთვისაც შესაძლებელი ხდება თვალი ადევნოს, თუ როგორ ხდება ყველაფერი ერთდროულად: როგორ ურეკავს A C-ს, როგორ დადის საყიდლებზე B და როგორ თამაშობს D ბილიარდს. ის ფაქტი, რომ ეს მოვლენები დათარიღებულია ერთი და იგივე კალენდარული დროით და ერთი და იგივე საათით, ხოლო პიროვნებებმა, რომლებიც ამ ამბებში მონაწილეობენ, შეიძლება არც არაფერი იციან ერთმანეთის შესახებ, მიუთითებს

36. რასაკვირველია, სიუჟეტის გაგება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა მიმართებაშია I, II და III დრო A, B, C და D-სთან, და, ამახთანავე, არაერთარი ინფორმაცია არ არსებობდეს სხვების საქმიანობის შესახებ.

37. პოლიფონია მტკიცედ გამოარჩევს თანამედროვე რომანს ისეთი ბრწყინვალე წინამორბედისგან, როგორიც იყო პეტრონიუსის “სატირიკონი”. ამ ნაწარმოებში ხდება მხოლოდ ერთი ცალკეული ამბის თხრობა. მაშინ, როცა მწერალი აღწერს ენკოლპიუსის განცდებს ახალგაზრდა საყვარლის ორპირობის გამო, პარალელურად არ აშუქებს სხვა მოვლენას, მაგ. იგი არაფერს გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ატარებენ დროს საწოლში გიტო და ასცილტუსი.

იმ წარმოსახვითი სამყაროს სიახლეზე, რომლითაც ავტორი მკითხველის მოხიბვლას ახერხებს.³⁸

სოციოლოგიური ორგანიზმი, რომელიც არსებობს კალენდარულად ერთფეროვან და აზრისგან დაცლილ დროში, ერის იდეის ზუსტი ანალოგია. ერიც ისტორიის თანმდევ სოლიდურ გაერთიანებადაა ჩაფიქრებული.³⁹ ამერიკელი ვერც შეხვდება და ვერც ვერასოდეს გაიცნობს თავის თანამედროვე მოძმეთა სულ მცირე 240 მილიონ წარმომადგენელს მაინც. მას წარმოდგენაც კი არა აქვს, რითი არიან ისინი დაკავებული დროის გარკვეულ პერიოდში, და, მიუხედავად ამისა, ის მაინც აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ისინი გონივრულად, ანონიმურად და ერთსულოვნად მოქმედებენ.

ეს მოსაზრება ალბათ აღარ მოგერვებებთ აბსტრაქტულად, თუ თვალს გადავაკლებთ ოთხ მხატვრულ ნაწარმოებს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა კულტურებს ეკუთვნიან. სამი მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ მოძრაობებთან. 1887 წ. “ფილიპინელთა ნაციონალიზმის მამამ” ხოსე რისალმა დაწერა რომანი “*Noli Me Tangere*”, რომელიც დღეს თანამედროვე ფილიპინური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლადაა მიჩნეული. გარდა ამისა, ეს იყო ფაქტიურად პირველი რომანი, რომელიც დაწერილი იყო “მკვიდრი მოსახლის” მიერ.⁴⁰ აი, როგორ დიდებულად იწყება ის:⁴¹

38. ამ კონტექსტში საყურადღებოა რომელიმე ისტორიული რომანის შედარება მხატვრული ნაწარმოების შექმნის პერიოდში არსებულ დოკუმენტებსა და თქმულებებთან.

39. ერთფეროვან, უშინაარსო დროში რომანიც რომ ჩაერთო, ამის საუკეთესო ილუსტრაციად გვევლინება ის, რომ არ არსებობს გაცნობითი ხასიათის მჭიდვ გენეალოგიები, რომლებიც ხშირად მუთითებენ ადამიანის წარმოშობას და ძველი ქრონიკების, ლეგენდებისა და საღვთო წიგნების მეტად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენენ.

40. აღნიშნული რომანი რისალმა კოლონიურ (ესპანურ) ენაზე დაწერა, რომელიც მაშინ უნიკურად მრავალფეროვანი ევრაზიული და ადგილობრივი ელიტის lingua franca-ს წარმოადგენდა. პარალელურად, პირველად გაჩნდა “ნაციონალური” პრესა, რომელიც არა მარტო ესპანურად, არამედ ისეთ “უნიკურ” ენებზეც იწერებოდა, როგორც იყო ტაგალური და ილოკური. იხილეთ Leopoldo Y. Yabes, “The Modern Literature of the Philippines”, Pierre-Bernard Lafont and Denys Lombard (eds), Littératures Contemporaines de l’Asie du Sud-Est, გვ. 287-302.

“ოქტომბრის ბოლოს, კაპიტან ტიაგოდ ცნობილ დონ სანტიაგო დე ლოს სანტოსს წვეულების გამართვა ჰქონდა განზრახული. მიუხედავად იმისა, რომ დონ სანტიაგოს ასეთი რამ არ სჩვეოდა, მან მაინც მხოლოდ დანიშნულ დღეს, შუადღისას გამოაცხადა წვეულების შესახებ. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ყველგან, ბინონდოსა თუ ქალაქის ნებისმიერ კვარტალსა და ინტრამუროსის [გალაწით შემოღობილი შიდა ქალაქის] ყოველ კუთხე-კუნჭულშიც კი სხვა არაფერი იყო სალაპარაკო. იმ ხანად, კაპიტანი ტიაგო გულუხვი მასპინძლის რეპუტაციით სარგებლობდა. მისი სახლი განთქმული იყო იმით, რომ იქ, ქვეყანაში დაშვებული ნორმების დარად, ნებადართული იყო ყველაფერი, კომერციისა და ნებისმიერი ახალი, გაბედული იდეის გარდა.

ასე რომ, ახალმა ინფორმაციამ ელექტროშოკით დაუარა საზოგადოების მუქთახორებს, პარაზიტებს და სხვა დაუპატიებელი სტუმრობის მოყვარულთ, რომლებიც ღმერთმა შექმნა თავისი უსაზღვრო დიდსულოვნებით, შემდეგ კი ასევე დიდსულოვნებით გაამრავლა ისინი მანილაში. ყველა ეშხადებოდა წვეულებისთვის, ზოგი ჩექმების გაპრიანებით იყო დაკავებული, ზოგი საყელოს ღილებსა თუ პალსტუხის შერჩევით, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებდა ერთი რამ – მონღობება, რომ ფამილიარობა გამოეჩინა მასპინძელთან, მისალმებოდა მას, როგორც უახლოეს მეგობარს და თუ საჭირო იქნებოდა, დაგვიანებისთვისაც მოებოდიშა.

წვეულება იმართებოდა მასპინძლის სახლში ანლოავის ქუჩაზე. რაკი არ გვახსოვს ქუჩის ნომერი, შევეცდებით აღვწეროთ ის ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი ცნობა – რა თქმა უნდა, თუ ის ჯერ კიდევ არსებობს და მიწისძვრას არ დაუნგრევია. ხოლო პატრონი რომ არ დაანგრევდა, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რადგან ასეთი რამ ღმერთის ან ბუნების საქმეა, ბუნებას კი თავად საკმაოდ ბევრი კონტრაქტი აქვს დადებული ჩვენს მთავრობასთან”.

41. Jose Rizal, “Noli Me Tangere” (Manila: Instituto Nacional de Historia, 1978). გვ. 1. ჩემი თარგმანი. იმ პერიოდში, როცა პირველად გამოვაქვეყნე „წარმოსახვითი საზოგადოებანი“, მე არ ვიცოდი ესპანური და, ამდენად, იძულებული ვიყავი ბრმად მივნივლოდი ლეონ მარია გუერეროს მეტად დამახინჯებულ თარგმანს.

ღრმა და ყოვლისმომცველი კომენტარი ალბათ საჭირო არაა. სრულიად საკმარისი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ თხრობის დაწყებისთანავე ავტორის მიერ შექმნილი წვეულების ხატი (რომელიც სრულიად ახალია ფილიპინური მწერლობისათვის), ერთბაშად ხიბლავს საზოგადოებას. ის ხდება ასობით ადამიანის მსჯელობის საგანი, იმ ადამიანების, რომლებიც არც კი იცნობენ ერთმანეთს. და მაინც, მანილას ყოველ კუთხე-კუნჭულში, განსაზღვრული დეკადის განსაზღვრული თვის მანძილზე სხვა სალაპარაკო არაფერი აქვთ. ფრაზაში “სახლი ანლოაგის ქუჩაზე”, რომელსაც “ჩვენ აღვწერთ ისე, რომ მისი ცნობა შესაძლებელი იყოს”, იმ ხალხში, ვინც შესაძლოა იცნოს ის, ვიგულისხმებით ჩვენ – ფილიპინელი მკითხველები. ამ სახლის მოულოდნელი პროგრესი, რომანის შექმნის “შესატყვისი” პერიოდიდან, [მანილას] ყოველდღიური ცხოვრებით დაკავებული მკითხველის ეპოქამდე, კონკრეტული საზოგადოების სიმტკიცის ერთგვარ ჰიპნოზურ დადასტურებას წარმოადგენს. სიმტკიცეში საზოგადოების წევრების, ამავე დროს, ავტორისა და მკითხველის დროში მოგზაურობაც იგულისხმება.⁴² ყურადღებას იქცევს მწერლის ტონიც. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაც კი არა აქვს თავისი მკითხველის ვინაობაზე, რისალი ირონიულად და ერთგვარი ინტიმურობითაც მიმართავს მას, თითქოსდა ისინი ძალიან ახლო და კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან.⁴³

საოცარია, როცა “ნოლის” ადარებენ ერთ მეტად პოპულარულ ნაწარმოებს, რომელიც უფრო ადრეა დაწერილი “მკვიდრი

42. მაგალითად, ყურადღება მიაქციეთ პატარა გადახვევას, რომელსაც რისალი იმავე წინადადებაში მიმართავს. იგი წარსული დროის “შეთხზული” რეალობიდან ყველა ჩვენგანისთვის საერთო “მრავალფეროვან” (multiplica) აწმყოში გადადის.

43. მკითხველის ანონიმური გაურკვევლობის მედლის წინა მხარე იყო/არის ავტორის უშუალო პოპულარობა. როგორც დავინახავთ, აღნიშნული გაურკვევლობა/პოპულარობა გარკვეულწილად საგამომცემლო კაპიტალიზმის გავრცელებას უკავშირდება. მანილაში, ვერ კიდევ 1593წ. ენერგიულმა დომინიკელებმა გამოაქვეყნეს *Doctrina Christiana*. მაგრამ, ამის შემდეგ, საუკუნეების მანძილზე საგამომცემლო საქმიანობა ეკლესიის მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩებოდა. ლიბერალიზაცია მხოლოდ 1860წ. დაიწყო. იხილეთ Bienvenido L. Lumera, “Tagalog Poetry 1570-1898, Tradition and Influence in its Development”, გვ. 35, 93.

მოსახლის”, ფრანცისკო ბალაგტასის (ბალთაზარის) მიერ “*Pinagdaanang Buhay ni Florante at ni Laura sa Cahariang Albania*” (ამბავი ფლორანტისა და ლაურასი ალბანეთის სამეფოში), და, რომლის პირველი გამოცემა თარიღდება 1861წ. თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ ის 1838 წელს შექმნილიყო.⁴⁴ მიუხედავად იმისა, რომ ბალაგტასი ცოცხალი იყო, როცა რისალი დაიბადა, მისი შედევრების სამყარო სრულიად უცხოა “*ნოლისთვის*”. მისი გარემომცველი სამყარო – ლეგენდარული შუა საუკუნეების ალბანეთი – დროითაც და სივრცითაც ძალიან შორსაა 1880წ. ბინონდოსგან. ხოლო გმირები, ალბანური წარმოშობის ქრისტიანი, დიდგვაროვანი ფლორანტი და მისი გულითადი მეგობარი ალადინი – მუსლიმანი “მორი”, სპარსი არისტოკრატი – ფილიპინელთა ასოციაციას იწვევენ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანთა და მოროს კავშირით. “რეალისტური”, სატირული თუ ეროვნული ეფექტის მისაღწევად, რისალი, ტაგალურის პრაღელურად, უხვად ხმარობს ესპანურ პროზას, ბალაგტასი კი, უფრო ამაღლებული და ჟღერადი დიქციის მისაღწევად, ტაგალურ ტაეპებს გაუცნობიერებლად ურევს ესპანურ ფრაზებს. “ნოლი” განკუთვნილი იყო საკითხავად, “*Florante at Laura*” კი სიმღერად იყო ჩაფიქრებული. ყველაზე საოცარი ბალაგტასის დროსთან დამოკიდებულებაა. როგორც ლუმბერა აღნიშნავს, “სიუჟეტის გაუხსნელობა არღვევს ქრონოლოგიას. მოთხრობა იწყება *მედიას რეს*-ით და წარმოადგენს მოხსენებათა სერიებს, რომლებიც ასახავენ წარსულ მოვლენებს”.⁴⁵ 399 კუპლეტის თითქმის ნახევარი ფლორანტის ბავშვობის, მის მიერ ათენში გატარებული სტუდენტობის წლების, და შემდგომი სამხედრო ღვაწლის აღწერაა, რომელსაც გმირი ალადინთან საუბარში მოიხსენიებს.⁴⁶ თხრობაში “წარსული ეპიზოდების ჩართვა” ბალაგტასისთვის მიზანდასახული, თანმიმდევრული თხრობის ალტერნატივას წარმოადგენს. როგორც ფლორანტის, ისე ალადინის წარსული ცხოვრება “ერთსა და იმავე დროს” უკავშირდება, ხოლო თავად პერსონაჟებს, ხმა და კილო უფრო აერთიანებთ, ვიდრე ნაწარმოების სტრუქტურა. ეს ტექნიკა, რა თქმა უნდა,

44. იქვე, გვ. 115.

45. იქვე, გვ. 120.

46. ტექნიკა პომპროსის ანალოგიურია, რომელიც მეტად საყურადღებოდ არის განხილული აუერბახის მიერ, “*Mimesis*”, თავი I (“*Odysseus Scar*”).

ძალიან შორსაა რომანისაგან. “იმ ზაფხულს, როცა ფლორანტი ათენში სწავლობდა, აღადინი უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხეს...” ბალაგტასს აზრადაც არ მოსდის, რომ თავის ლიტერატურულ გმირებს ან საზოგადოებაში “მიუჩინოს ადგილი”, ან აუდიტორიასთან მსჯელობის საგნად აქციოს. ხოლო “ფილიპინური” მის ტექსტში, ტაგალური მრავალმარცვლიანი სიტყვების ლამაზი ჟღერადობის გარდა, თითქმის არაფერია.⁴⁷

1816წ. ‘ნოლის’ შექმნამდე 70 წლით ადრე, ხოსე ხოაკინ ფერნანდეს დე ლისარდომ დაწერა რომანი “*El Periquillo Sarniento*” (მოუსვენარი თუთიყუში), რომელიც ამ ჟანრში ჭეშმარიტად პირველი ლათინურ-ამერიკული ნაწარმოები იყო. ერთ-ერთი კრიტიკოსის სიტყვებით, ეს ტექსტი მექსიკის ესპანური ადმინისტრაციის უღმობელი მხილებაა, რომლის ყველაზე დამახასიათებელ თვისებებზე წარმოდგენილია უვიცობა, ცრურწმენა და კორუფცია.⁴⁸ ამ “ნაციონალური” რომანის ძირითადი ფორმა მოცემულია მისი შინაარსის აღწერაში:⁴⁹

“უპირველეს ყოვლისა, ნაწვენებია ცუდი გაელენა, [რომელსაც გმირი, მოუსვენარი თუთიყუში განიცდის], უვიცი მოსამსახურეები ნერგავენ ცრურწმენებს, პერიკუილოს დედა ჭირვეულობს, ხოლო მის მასწავლებლებს არც ნიჭი და არც უნარი აქვთ, რომ ყოფაქცევა ასწავლონ მას. მამამისი განათლებული კაცია, მას უნდა, რომ

47. ‘Paalam Albaniang pinamamayanan ng casama, t, lupit, bangis caliluhan, acong tangulan mo, i, cusa mang pinatay Sa iyo, i, malaqui ang panghihinayang’.

“შვიდობით, აღბანეთო, აწ უკვე სამეფო უკეთურობის, ხიკის და საზარელ ჭორის.

შენს ერთგულ დამცველს სიცოცხლეს მისპობ,

მე კი შენს წილხვედრ ბედისწერას კვლავ ცრემლით ვივლოვ”.

ამ ცნობილი სტროფის ინტერპრეტაცია ზოგჯერ ფილიპინელთა პატრიოტიზმისთვის ნიშანდობლივი იდუმალი დებულების სახეს იღებს, მაგრამ ლუმბერა გეარწმუნებს, რომ ასეთი ინტერპრეტაცია ანაქრონისტულ გლოსას წარმოადგენს. “*Tagalog Poetry*”, გვ. 125. ლუმბერას თარგმანი. მე ოდნავ შევცვალე მისი ტაგალური ტექსტი იმ მიზნით, რომ ის 1973წ. გამოცემული ლექსის შესატყვისი ყოფილიყო. იგულისხმება ის ლექსი, რომლის საფუძველს 1861წ. გამოცემა წარმოადგენდა.

48. Jean Franco, “An Introduction to Spanish-American Literature”, გვ. 34.

49. იქვე, გვ. 35-36. კომენტარების დართევით.

მისმა შვილმა სასარგებლო საქმიანობას მიჰყოს ხელი და არ შეუერთდეს მაწანწალებისა და პარაზიტების რიგებს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მზრუნველი დედა იმარჯვებს, ის აგზავნის თავის შვილს უნივერსიტეტში და, ამგვარად, უზრუნველყოფს, რომ მას მხოლოდ ცრურწმენის სისულელებით გამოუჭედონ თავი... მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ განათლებულ და ჭკვიან ხალხს ხვდება, პერიკულიო ცხოვრების ბოლომდე მაინც უვიცი რჩება. მას არც მუშაობა სურს და არც რაიმე სხვა სერიოზული საქმით თავის შეწუხება. შემდგომში ის თანმიმდევრობით ხდება პროვინციული ქალაქის მღვდელი, მოთამაშე, ქურდი, მეაფთიაქის შეგირდი, ექიმი, კლერკი... ეს ეპიზოდები *საშუალებას აძლევს ავტორს აღწეროს სააუაღმყოფოები, ციხეები, მიფრუებული სოფლები, მონასტრები, თუმცა, ამავე დროს, ის ავითარებს აზრს, რომ ესპანეთის მთავრობა და განათლების სისტემა ხელს უწყობენ პარაზიტობისა და სიზარმაცის განვითარებას... პერიკულიო, თავისი თავადასავლების წყალობით, არაერთხელ ხვდება ინდიელებთან და ზანგებთან...*

აქ ისევ “ეროვნულ წარმოსახვასთან” გვაქვს საქმე, რაც ნაწევნებია მარტოხელა გმირის მოძრაობით მუდმივ სოციოლოგიურ გარემოში. სწორედ ამ მარადისობის საშუალებით ხდება რომანის შიდა და გარე სამყაროს ერთმანეთთან შეთავსება. ეს ავანტიურისტული *tour d'horison* - სააუაღმყოფოები, ციხეები, მიფრუებული სოფლები, მონასტრები, ინდიელები, ზანგები – სინამდვილეში არაერთარი *tour du monde* არაა. გონებრივი ჰორიზონტი გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული და ეს კოლონიური მექანიკაა. სოციოლოგიურ სიმტკიცეს ყველაზე კარგად ადასტურებს სიმრავლეთა ატრიბუტების წყება, რადგან ისინი ავსებენ სოციალურ სივრცეს, რომელშიც უხვადაა ერთმანეთის *შსვავსი* ციხეები. მართალია, არცერთი მათგანი არ გამოირჩევა განსაკუთრებული მნიშვნელობით, მაგრამ საყურადღებოა იმით, რომ (თავისი თანადროულობითა და განცალკევებული არსებობით), ნათლად წარმოაჩენს ამ კოლონიაში არსებულ სისასტიკეს.⁵⁰ (შევადართ ისინი ბიბლიურ ციხეებს. არცერთი მათგანი არ არის მიჩნეული

50. მარტოსული გმირის აღნიშნული მოძრაობა მყარ სოციალურ გარემოში ბევრი აღრეული (ანტი)კოლონიური რომანისთვისაა ტიპური.

ამა თუ იმ საზოგადოებისათვის ტიპურ მოვლენად. თითოეული ამ ციხეთაგან ცალკე, დამოუკიდებლად არსებული რეალობაა, იმ საპყრობილის მსგავსად, რომელშიც იოანე ნათლისმცემელმა საღლომეს მოჯადოება შეძლო).

და ბოლოს, იმ მოსაზრებისაგან თავის დასაღწევად, რომ, მიუხედავად ესპანურ ენაზე წერისა, რისაღისა და ლისარდის ის ნაწარმოებები, რომლებსაც ვიხილავთ, მაინც ასე თუ ისე "ევროპულია", მოგვყავს "Semarang Hitam"-ის (შავი სემარანგი) შესავალი. ამბავი, რომელსაც ჰყვება ერთი ბედკრული ახალგაზრდა ინდონეზიელი კომუნისტ-ნაციონალისტი - მას მარკო კარტოდიკრომო,⁵¹ რამდენჯერმე გამოქვეყნდა 1924წ.:⁵²

'შაბათი დღე იყო, საღამოს 7 სთ. საერთოდ, შაბათ საღამოს სემარანგში არავინ რჩებოდა შინ. თუმცა, იმ დამეს ირგვლივ არავინ ჩანდა. გადაუღებელმა წვიმამ ერთიანად დაასველა გზები. ასეთ გზებზე ფეხის დაცურება კი ძალიან ადვილი იყო, ამიტომ ყველამ სახლებში დარჩენა ამჯობინა.

მუშები, რომლებიც მალაზიებსა და ოფისებში იყვნენ დასაქმებული, ყოველ შაბათს, დილიდან იმაზე ფიქრობდნენ, თუ სად, ქალაქის რომელ კუთხეში გაესეირნათ და როგორ გაეტარებინათ საღამო. მაგრამ ამ დამით მათ იმედები გაუცრუვდათ - ცუდმა ამინდმა და სველმა გზებმა აპათია გამოიწვია. მთავარი ქუჩები, რომლებიც ჩვეულებრივ გაჭედილი იყო ხოლმე ტრანსპორტით და ხალხით, ცარიელი და მიტოვებული ჩანდა.

51. რადიკალი ქურნალისტის მოკლე, მეტეორული კარიერის შემდეგ, პოლანდიური კოლონიური ხელისუფლების მიერ მოხდა მარკოს ინტერნირება ახალი გვინეის დასავლეთ ნაწილის შიდა მხარეში, ბოვენ დიგულში, მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ საკონცენტრაციო ბანაკში. 1932წ., ექვსი წლის პატიმრობის შემდეგ, ის იქ გარდაიცვალა. Henry Chambert-Loir, 'Mas Marco Kartodicromo (c.1890-1932) ou L'Education Politique', გვ. 208, Littératures contemporaines de l'Asie du Sud-Est. მარკოს კარიერის შესახებ ბრწყინვალედ შესრულებული ახალი სრული ანგარიშისთვის იხილეთ Takashi Shiraishi, "An Age in Motion: Popular Radicalism in Java, 1912-1926", თავები 2-5 და 8.

52. ესაა მას მარკო კარტოდიკრომოს (დაახლ. 1890-1932) ნაწარმოების "Three Early Indonesian Short Stories" თარგმანი, რომელიც შესრულებულია პოლ ტიკელის მიერ, გვ. 7. ხაზგასმა ჩემია.

აქ-იქ თუ გაიგონებდით ეტლის, ცხენის, მათრახის შხულის ხმას, დეზებისა და ჩლიქების ცემის ხმაურს.

სემარანგი მიტოვებული იყო. მოასფალტებულ გზებს გაზის ლამპების შუქი ეცემოდა, რომელსაც დროდადრო აბნელებდა აღმოსავლეთის ქარი.

ახალგაზრდა კაცი, რომელიც გრძელ სავარძელში იჯდა, გაზეთს კითხულობდა. ის მთლიანად კითხვაში იყო ჩაფლული. სახეზე დროდადრო ღიმილი ან ბრაზის ნიშნები გაუელვებდა ხოლმე, რაც მისი დიდი ინტერესის აშკარა დასტური იყო. მან სწრაფად გადაფურცლა გაზეთის გვერდები, ალბათ ფიქრობდა, რომ იპოვიდა იქ ისეთ რამეს, რაც საკუთარი უბედურების დაეიწყებაში დაეხმარებოდა. უეცრად ის წააწყდა სტატიას სახელწოდებით:

კეთილდღეობა

გაჭირვებული მაწანწალა ავად გახდა და სრულიად უძწეო მდგომარეობაში გზაზე გარდაიცვალა

ახალგაზრდა კაცი მეტად აღელვდა ამ მოკლე უწყებამ. მან წარმოიდგინა მომაკვდავი ღარიბის ტანჯვა... და წუთით სამინელი აღშფოთება დაეუფლა, რომელიც წამსვე სიბრაღულმა შეცვალა. ძალიან ძალე კი მისმა აღშფოთებამ განზოგადოებული სახე მიიღო და იმ სოციალურ სისტემას დაუკავშირდა, რომელმაც, ერთის მხრივ ასეთი უკიდურესი სიღარიბე, მეორეს მხრივ კი, ხალხის მცირე ნაწილის გამდიდრება გამოიწვია”.

აქ, ისევე როგორც “*El Periquillo Sarniento*”-ში, ჩვენ ვიმყოფებით სიმრავლის ატრიბუტთა დიდ გარემოცვაში: მაღაზიები, ოფისები, კარეტები, სახლები თუ გაზის ლამპები. ისევე, როგორც „ნოლის” შემთხვევაში, ჩვენ, ინდონეზიელი მკითხველი, წამსვე აღმოუჩნდებით ჩართული გარკვეულ კალენდარულ დროსა და ნაცნობ გარემოში. ზოგიერთი ჩვენგანი სემარანგის სველ გზებზეც დასეირნობს თავის წარმოსახვაში. მარტოხელა გმირი კიდევ ერთხელ უპირისპირდება საზოგადოებისგან გაქცევის თემას, რომელიც აღწერილია ძალიან ფრთხილად, ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი *საერთო* დეტალებით. ამავე დროს, შეიმჩნევა სიახლის გარკვეული ნიშნებიც, კერძოდ, ის, რომ გმირი, რომელსაც სახელი არა აქვს, ხშირად მოიხსენიება, როგორც “*ჩვენი*

ახალგაზრდა”. ნაწარმოების როგორც გაურანდაობა, ისე გარკვეული მიაშიტობა, ერთგვარი დასტურია იმისა, რომ ეს ნაცვალსახელი გაუცნობიერებელი, მაგრამ “გულწრფელი”, “ალალმართალი გრძნობითაა” ნაკარნახევი. ამაში მარკოც და მისი მკითხველიც აბსოლუტურად არიან დარწმუნებული. თუ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების ევროპის ოუძორისტულ ლიტერატურაში ტროპით “ჩვენი გმირი”, ავტორი უბრალოდ თავს იქცევს თავის მკითხველთან, მარკოს “ჩვენი ახალგაზრდა” ინდონეზიელი მკითხველის კოლექტიურ სხეულს, და აქედან გამომდინარე, ემბრიონულ ინდონეზიურ “წარმოსახვით საზოგადოებასაც” მიეკუთვნება. მაგრამ ამის მიზეზი სიახლე სულაც არაა. საყურადღებოა, რომ მარკო საჭიროდ არ თვლის ამ საზოგადოების დასახელებას. ამ თვალსაზრისით, გზა უკვე გაკაფულია. (თუ მრავალენოვანი პოლანდიელი ცენზორებიც მისი მკითხველები გახდებოდნენ, ტერმინი “ჩვენი” მათზე არ გაერცვლდებოდა. ეს ჩანს იმ ფაქტიდან, რომ ახალგაზრდა კაცი აღშფოთებულია “საერთო”, და არა კერძოდ “ჩვენი” სოციალური სისტემით).

და ბოლოს, წარმოსახვითი საზოგადოების გაძლიერება ხდება ორმაგი კითხვის პროცესით, ერთის მხრივ ჩვენი, მეორეს მხრივ კი, ახალგაზრდა კაცის კითხვით. ის ვერ პოულობს ღარიბი მაწანწალის გვამს სემარანგის სეელ გზაზე, მაგრამ ახერხებს მის წარმოდგენას გაზეთში დაბეჭდილი სტატიის საფუძველზე.⁵³ მას მაინცდამაინც არც ღარიბი მაწანწალის ვინაობა აღელვებს; ის ფიქრობს ტიპიურ მასაზე და არა ცალკეულ პიროვნებათა ცხოვრებაზე.

53. 1924წ. მარკოს ახლო მეგობარმა და პოლიტიკურმა მოკავშირემ გამოაქვეყნა რომანი სახელწოდებით “Rasa Merdika” (თავისუფლების შეგრძნება/თავისუფლების გრძნობა). ამ რომანის გმირის შესახებ (რომელსაც ის შეცდომით მარკოს მიაწერს), შამბურტ-ლუარი წერს: “მას წარმოდგენა არა აქვს სიტყვა “სოციალიზმის” მნიშვნელობის შესახებ: მიუხედავად ამისა, მას ათვალწუნებული აქვს სოციალური ორგანიზაცია, რომლის გარემოცვაშიც იმყოფება და საჭიროდ მიიჩნევს საკუთარი პორიზონტის ორი მეთოდით - მოვ ზაურობისა და კითხვის საშუალებით გაზრდას (“Mas Marco”, გვ. 208). ხაზგასმა ჩემია. მოუსვენარმა თუთიყუშმა, ერთის მხრივ იავაში, მეორეს მხრივ კი მეოცე საუკუნეში გადაინაცვლა.

ის, რომ *“Semarang Hitam”*-ში გაზეთი მხატვრულ ლიტერატურასთანაა გაიგივებული, სრულიად მართებულია, რადგან თუ გაზეთს კულტურის სახეობად მივიჩნევთ, გაგვაოცებს კიდევ მისი ღრმა მხატვრულობა. რა არის ის ძირითადი თავისებურება, რომელიც ახასიათებს გაზეთის სტილს? მაგალითისთვის განვიხილოთ *„ნიუ-იორკ ტაიმსის“* პირველი გვერდი, სადაც შეიძლება შევხვდეთ სტატიებს სხვადასხვა თემებზე, იქ შეიძლება იყოს მასალები საბჭოთა დისიდენტების, მალიში არსებული შიმშილობის, საზარელი მკვლელობის, ერაყში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების, ზიმბაბვეში იშვიათი წიაღისეულის აღმოჩენისა თუ მიტერანის მოხსენების შესახებ. რა აკავშირებს ამ სრულიად განსხვავებულ მოვლენებს ერთმანეთთან და რის საფუძველზე ხდება მათი გაერთიანება ერთ გვერდზე განთავსების გზით? რა თქმა უნდა, ეს არაა უბრალო ახირების შედეგი. ყურადსაღებია, რომ დასახელებულ მოვლენათა უმეტესობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება, და ამ ამბებში მონაწილე პირებმა არაფერი იციან ერთმანეთის შესახებ. ამდენად, ყველა ამ მასალის ერთ გვერდზე თავმოყრა და გაერთიანება (მომდევნო გამოცემაში მიტერანის ადგილს ბეისბოლის ტრიუმფი დაიკავებს), მათ შორის მხოლოდ წარმოსახვითი კავშირის არსებობის მიმანიშნებელია.

ეს წარმოსახვითი კავშირი ეფუძნება ორ ურთიერთდამოკიდებულ წყაროს. პირველი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ დროის კალენდარული დამთხვევაა და სხვა არაფერი. გაზეთის ზედა ნაწილში მითითებული თარიღი, ეს უმნიშვნელოვანესი სიმბოლო, ძირითადი კავშირის არსებობაზე მიუთითებს – ის გვაუწყებს ერთფეროვანი, აზრისგან დაცლილი დროის თანაბარ, აუჩქარებელ დინებას, რომელსაც ფეხდაფეხ, შეუპოვრად მიჰყვება მთელი *“სამყარო”*.⁵⁴ აღნიშნულის ნათელსაყოფად, შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: თუ მალის ტერიტორიაზე არსებული შიმშილობის შესახებ ცნობების გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, მალის შესახებ ინფორმაცია გაქრება *ნიუ-იორკ ტაიმსის* გვერდებიდან და არ გამოჩნდება მთელი

54. გაზეთის კითხვა რომანის კითხვის ანალოგიურია, იმ რომანის, რომლის ავტორმაც უარი თქვა თანმიმდევრული სიუჟეტის მოფიქრებაზე.

თვის მანძილზე, მკითხველი არ აღიქვამს ამ ფაქტს მალის დაღუპვის ან მთელი მისი მოსახლეობის შიმშილით ამოწვევების უწყებად. გაზეთისა და რომანის სტილთა მსგავსება საბაბს აძლევს მკითხველს იფიქროს, რომ "პერსონაჟი" მალი აგრძელებს არსებობას და, აძლენად, მოთმინებით ელოდება მის ხელმეორედ გამოჩენას გაზეთის ფურცლებზე.

წარმოსახვითი კავშირის მეორე წყაროს გაზეთისა და წიგნის გარეგნული მსგავსება და ბაზარზე მათი გასაღება წარმოადგენს. დაანგარიშებულია, რომ ორმოცწლიანი პერიოდის მანძილზე, გუტენბერგის ბიბლიის გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე საუკუნის ბოლომდე, ევროპაში გამოიცა 20.000.000-ზე მეტი ბეჭდური პროდუქცია.⁵⁵ 1500-1600წწ. ნაბეჭდ გამოცემათა რაოდენობამ 150.000.000 და 200.000.000 მიაღწია.⁵⁶ "შორეულ წარსულში... სტამბები თანამედროვე სახელოსნოებს უფრო ჰგავდა, ვიდრე შუა საუკუნეების მონასტრებში განთავსებულ სამუშაო ოთახებს. 1455წ. ფუსტს და შოეფერს, რომლებიც საგამომცემლო ბიზნესს ეწეოდნენ, უკვე ჰქონდათ სტანდარტული პროდუქციისათვის საჭირო აღჭურვილობა. ოცი წლის შემდეგ კი, მთელ [sic] ევროპაში დაარსდა დიდი საბეჭდო კონცერნები".⁵⁷ შეიძლება ითქვას, რომ წიგნი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოადგენდა პირველ მასიური წარმოების სამრეწველო საქონელს,

55. Febvre and Martin, "The Coming of the Book". გვ. 186. ეს უთანაბრდებოდა არა ნაკლებ 35.000 გამოცემას, რომელიც არა ნაკლებ 236 ქალაქში დაიბეჭდა. ჯერ კიდევ 1480წ. საბეჭდო დაზგები არსებობდა 110-ზე მეტ ქალაქში, რომელთაგან 50 დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე იყო, 30 - გერმანიაში, 9 - საფრანგეთში, 8 - პოლანდიაში და 8 - ესპანეთში, 5 - ბელგიასა და შვეიცარიაში, 4 - ინგლისში, 2 - ბოჰემიაში და 1 - პოლონეთში. "შემდგომ პერიოდში. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში საყოველთაოდ გამოიყენებოდა ბეჭდურად გამოცემული წიგნი" (გვ. 182).

56. იქვე, გვ. 262. ავტორები კომენტარს აკეთებენ, რომ მეთექვსმეტე საუკუნისთვის წიგნები ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის, ვისაც კი კითხვა შეეძლო.

57. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ანტვერპენის უდიდესი გამომცემლობა - პლანტინი 24 სტამბას აკონტროლებდა, ხადაც თითოეულ საამქროში 100-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. იქვე, გვ. 125.

რომელიც პასუხობდა დროის მოთხოვნებს.⁵⁸ ზემოთქმული უფრო გასაგები რომ გახდეს, შევადართო წიგნი ადრეული სამრეწველო პროდუქციის რომელიმე სხვა სახეობას, მაგ. ფართლელს, აგურს, ან შაქარს, რომელთა წონა განისაზღვრება მათემატიკურად (გირვანქით, ტარით ან ცალობით). ერთ გირვანქა შაქარში იგულისხმება მხოლოდ რაოდენობა, ხელსაყრელი წონა და არა თვითონ საგანი. წიგნი კი, რომელიც დროის დინებას ექვემდებარება, გამორჩეული თვისებების მქონე დამოუკიდებელი საგანია და კვლავწარმოებით ხასიათდება.⁵⁹ ერთი გირვანქა შაქარი შეიძლება გადავანაცვლოთ მეორეში, წიგნი კი ხასიათდება საკუთარი თვითმყოფადობით. (საოცარია, რომ ბიბლიოთეკები, მასიური წარმოების საქონლის პირადი კოლექციები, მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს უკვე გავრცელებული იყო ურბანისტულ ცენტრებში, მაგალითად პარიზში).⁶⁰

ამ თვალსაზრისით, გაზეთი წიგნის “განსაკუთრებული სახეობაა”, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კოლოსალური მასშტაბით იყიდება, მაინც მხოლოდ და მხოლოდ ეფემერული

58. ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს Marshall McLuhan “Gutenberg Galaxy”-ის უცნაურ მოსაზრებებში (გვ. 125). შეიძლება ვინმემ დაამატოს, რომ თუ წიგნის ბაზარს სხვა საქონლის ბაზრები დაჩრდილავდნენ, თანამედროვე ევროპის განვითარების საქმეში მისი სტრატეგიული როლი ბაზრების გავრცელების თვალსაზრისით მაინც ცენტრალურ მნიშვნელობას შეინარჩუნებდა.

59. აქ პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასშტაბი. მეცხრამეტე საუკუნემდე, გამოცემების რაოდენობა მეტად მცირე იყო. ლუთერის ბიბლიაც კი, რომელიც განსაკუთრებულ ბესტსელერად ითვლებოდა, პირველად მხოლოდ 4.000-იანი ტირაჟით გამოქვეყნდა. დიდროს “ენციკლოპედიის” უჩვეულოდ დიდი პირველი გამოცემა 4.250-ზე მეტ ვგზემპლარს შეადგენდა. მეთორამეტე საუკუნეში წიგნის გამოცემა საშუალოდ არანაკლებ 2.000 შეადგენდა. Febvre and Martin, “The Coming of the Book”, გვ. 218-220. ამავე დროს, სხვა სახის საქონლისგან წიგნი ყოველთვის მისთვის ჩვეული შეზღუდული ბაზრით გამოირჩეოდა. ნებისმიერ ფულიან ადამიანს შეუძლია იყიდოს ჩეხური მანქანები, მაგრამ მხოლოდ ჩეხი მკითხველი იყიდის ჩეხურ ენაზე გამოცემულ წიგნებს. ამ განსხვავების მნიშვნელობა ქვემოთ იქნება განხილული.

60. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს, ვენეციელმა გამომცემელმა ალდუსმა დასაბამი მისცა ადვილად გადასატან “ჯიბის გამოცემას”.

პოპულარობით სარგებლობს. შეიძლება, რომ მისი პოპულარობა პირობითად გამოიხატოს, როგორც ერთდღიანი ბესტსელერი?⁶¹ უცნაურია, მაგრამ ადრეული ხანის მასიური წარმოების საქონელი ჟამთა სვლის მსხვერპლად გვეკლინება. სწორედ ის მიზეზი, რომ გაზეთი სულ რაღაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში ძველდება, იწვევს უჩვეულო მასიურ ცერემონიას, რაც გამოიხატება გაზეთის მხატვრულ ლიტერატურად აღქმაში. ყველასთვის ცნობილია, რომ დილისა და საღამოს გარკვეულ გამოცემებს უზომოდ ბევრი მკითხველი კითხულობს გარკვეული დროისა და მხოლოდ გარკვეული დღის მანძილზე. (შეადარეთ ის შაქრის მოხმარებას, რომელიც გრძელდება უვადოდ და უსასრულოდ, და რომლის მოხმარებაც რაღაც პერიოდში შეიძლება შემცირდეს, მაგრამ, გაზეთისგან განსხვავებით, ამის მიზეზი შაქრის დაძველება არაა). ამ მასიური ცერემონიის მნიშვნელობა საკმაოდ პარადოქსულია. ჰეგელმა შენიშნა, რომ გაზეთი თანამედროვე ადამიანისთვის დილის ღლოცვების შემცველია. ამ ცერემონიას ჩუმად და დამოუკიდებლად ასრულებს გონება.⁶² და მაინც თითოეულ მკითხველს გაცნობიერებული აქვს, რომ იგივე ქმედება სრულდება ერთდროულად ათასობით (ან მილიონობით) ხალხის მიერ, რომელთა არსებობის ფაქტს ის, მართალია, აღიარებს, მაგრამ რომელთა ვინაობის შესახებ იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ აქვს. უფრო მეტიც, ეს ქმედება მუდმივად და უსასრულოდ მეორდება ერთი ან ნახევარი დღის ინტერვალებით. განა შეიძლება მოიძებნოს უკეთესი მაგალითი წარმოსახვითი საზოგადოების ნათელსაყოფად?⁶³

61. როგორც "Semarang Hitam"-ის შემთხვევა გვიჩვენებს, ორი სახის ბესტსელერი უფრო მეტად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე ეს დღეს ხდება. დიკენსმაც სერიულად გამოაქვეყნა თავისი პოპულარული რომანები პოპულარულ გაზეთებში.

62. "დაბეჭდილი მასალები უსიტყვო კავშირს უზრუნველყოფდა იმათთვის, ვისაც არ შეეძლო ქომაგები ჰყოლოდა მრეელში და, ვინც შორიდან მიმართავდა უხილავ პუბლიკას". Elizabeth L. Eisenstein, "Some Conjectures about the Impact of Printing on Western Society and Thought", *Journal of Modern History*, 40:1 (March 1968), გვ. 42.

63. როცა საშუალო კლასის საზოგადოებასა და აბსტრაქტულ პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ წყობას შორის არსებულ მატერიალურ ანარქიაზე წერდა, ნაირნი შენიშნავდა, რომ "წარმომადგენლობითმა მექანიზმმა რეალური კლასის უთანასწორობა მოქალაქეთა აბსტრაქტულ ევალიტარიანიზმად

მკითხველი, რომელიც ყურადღებით კითხულობს საგაზეთო სტატიებს, იმავდროულად დაკავებულია ისეთ პრობლემებზე ფიქრითაც, როგორცაა მეტრო, საპარიკმახერო ან მეზობლები. ის სავსებით დარწმუნებულია, რომ წარმოსახვითი სამყარო ვიზუალურად უკავშირდება ყოველდღიურ ცხოვრებას. “Noli Me Tangere”-ს მსგავსად, მხატვრული ლიტერატურა მშვიდად და უსასრულოდ ერწყმის სინამდვილეს

და საზოგადოებას უქმნის იმ დრამა რწმენას ბუნდოვანებისადმი, რომელიც თანამედროვე ეროვნებათა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

სანამ ნაციონალიზმის წარმოშობის შესახებ კამათზე გადავიდოდეთ, კარგი იქნება, თუ ძირითად მოსაზრებებს შევაჯამებთ და რეზიუმეს სახით ჩამოვყავალიბებთ. მე ვთვლი, რომ თვით შესაძლებლობა ერის წარმოსახვისა ისტორიულმა ფაქტორებმა გამოიწვიეს. იმ დროს, იქ, კულტურული ცხოვრებისთვის დამახასიათებელმა სამმა ძირითადმა ცნებამ, რომელთაგან სამივეს ფესვები წარსულში აქვს გადგმული, დაკარგა თავისი აქსიომატური გავლენა ადამიანის გონებაზე. პირველი მათგანი იყო მოსაზრება, რომ გარკვეული ტიპის დამწერლობა მისაწვდომს ხდიდა ონტოლოგიურ ჭეშმარიტებას, იმდენად, რამდენადაც ამ ჭეშმარიტების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ ამ იდეამ მისცა დასაბამი ქრისტიანობის დიდ ტრანსკონტინენტურ თანამეგობრობას, ისლამის უმას და ა.შ. მეორე იყო საზოგადოების მმართველებისადმი დაქვემდებარების, მათ ქვეშევრდომობაში ყოფნის სრულიად ბუნებრივ მოვლენად აღიარება – მონარქები, რომლებიც ნებისმიერი სულიერისგან გამორჩეულის პრივილეგიით სარგებლობდნენ, კოსმოლოგიური (ღვთაებრივი) ნიშნით მართავდნენ ხალხსა და ქვეყანას. ლოიალობის გამოსახატავად კი აუცილებელი იყო იერარქიულობა და ცენტრისკენულობა, რადგან მმართველი,

გარდაქმნა, ინდივიდუალური თავმოწონეობა კი ერთიან კოლექტიურ ნებად, რომელიც სხვა შემთხვევაში ახალ სახელმწიფოებრივ ლეგიტიმურობაში ქაოსს გამოიწვევდა”. “The Break-up of Britain”, გვ. 24. ყოველივე ეს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ წარმომადგენლობითი მექანიზმი (არჩევნები?) იშვიათი და ცვალებადი თარიღების მქონე დღესასწაულია. ერთიანი ნების გამოვლინება წარმოსახვითი ცხოვრების ყოველდღიურ რეგულარობაში უფრო უკეთ აისახება.

ისევე როგორც საეკლესიო დამწერლობა, მათი ცხოვრების არსსა და ხელშეუვალ ფიგურას წარმოადგენდა. მესამე იყო წარმავლობის ცნება, რომელშიც კოსმოლოგია და ისტორია განუყოფელ რეალობად, ხოლო სამყაროსა და ადამიანის წარმოშობა კი იდენტურ მოვლენებად აღიქმებოდა. ამ მოსაზრებათა გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა ადამიანური ცხოვრების საფუძვლები სწორედ საგანთა ბუნებაში დაენახათ, ხოლო ყურადღება ყოველდღიური ჭირ-ვარამისა (მით უმეტეს სიკვდილის, დანაკარგისა და მონობის) და მისგან თავის დახსნის სხვადასხვა საშუალებებზე მიემართათ.

ამ ურთიერთდაკავშირებული ფაქტებისადმი რწმენის შესუსტებამ, რომელმაც თავდაპირველად თავი იჩინა დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი სხვაგანაც, ეკონომიკური (სოციალური და მეცნიერული) "აღმოჩენებისა" და სწრაფი კომუნიკაციების მზარდი განვითარების შედეგად, მკვეთრი ზღუდე აღმართა კოსმოლოგიასა და ისტორიას შორის. ამდენად, გასაკვირი აღარაა, რომ დაიწყო ძიება, რათა შინაარსობრივად ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ძმობა, მეგობრობა, ძალაუფლება და დრო. ამ ძიების წარმატებით დაგვირგვინებაში, ალბათ უდიდესი როლი ითამაშა კაპიტალიზმის ბეჭდურმა პროდუქციამ, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ხალხის მზარდ მასებს, დაფიქრებულიყვნენ საკუთარი ცხოვრების შესახებ და ახალი გზები გამოენახათ სხვებთან დასაკავშირებლად.



3. პროვნილი ცნობიერების წარმოშობა

მიუხედავად იმისა, რომ ბეჭდური პროდუქციის განვითარება დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენაა დროში თანმხვედრი სრულიად ახალი იდეების წარმოშობისათვის, ჩვენ მაინც ისეთ მდგომარეობაში ვრჩებით, სადაც შესაძლებელია კორიზონტალურ-სეკულარული, "დროის დინებას აყოლილი" საზოგადოების არსებობა. რატომ გახდა ერი ასეთი პოპულარული ამ ტიპის საზოგადოებაში? მიზეზები მეტად რთული და განსხვავებული ხასიათისაა. მაგრამ ამ მიზეზთაგან ყველაზე დიდ ყურადღებას მაინც კაპიტალიზმის არსი იმსახურებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1500 წლისთვის უკვე დაბეჭდილი იყო 20.000.000 წიგნი,¹ ეს კი ბენჯამინის "მექანიკური კვლავწარმოების ხანის" დასაწყისს მოასწავებდა. ხელნაწერის გზით ცოდნის მიღება იშვიათი და მიუწვდომელი იყო, ნაბეჭდი გამოცემები კი ცოდნის წყაროდ იქცნენ კვლავწარმოებისა და გავრცელების საშუალებით.² რაკი 1600 წლისთვის, როგორც ფებერი და მარტინი ფიქრობდნენ, შესაძლებელი გახდა

1. ევროპის იმ ნაწილში, სადაც საგამომცემლო საქმეს მისდევდნენ, მოსახლეობა დაახლოებით 100.000.000 შეადგენდა. Febvre and Martin, "The Coming of the Book", გვ. 248-249.

2. სიმბოლურია მარკო პოლოს მოგზაურობანი. ამ მოგზაურობათა შესახებ არავინ არაფერი იცოდა 1559 წლამდე, ანუ იმ პერიოდამდე, როცა მათ შესახებ პირველი ინფორმაცია ბეჭდური პროდუქციის საშუალებით გავრცელდა. Polo, "Travels", გვ. xiii.

200.000.000 წიგნის გამოცემა, გაოცებას აღარც ფრენსის ბეკონის მოსაზრება უნდა იწვევდეს, რომელიც თვლიდა, რომ ბეკდურმა პროდუქციამ შეცვალა “სამყაროს ფორმა და სტრუქტურა”.³

გამომცემლობა იყო კაპიტალისტური საწარმოების ერთ-ერთი ადრეული ფორმა, რომელიც ასახავდა კაპიტალიზმის დაუცხრომელ ლტოლვას ვაჭრობისადმი. ძველი დროის გამომცემლებმა მთელ ევროპაში დააარსეს ფილიალები. “ამ გზით შეიქმნა “საერთაშორისო” გამომცემლობათა ქსელი, რომელიც უარყოფდა ეროვნულ საზღვრებს”.⁴ 1500-1550 წლები ევროპის განსაკუთრებული გაფურჩქნისა და აყვავების ხანადაა ცნობილი. შესაბამისად, ეს საერთო ბუმი ნაბეჭდმა პროდუქციებმაც გაიზარეს. ამ დროს, “ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვა პერიოდში”, წიგნის გამოცემა წარმოადგენდა “მდიდარი კაპიტალისტების კონტროლს დაქვემდებარებულ დიდ მრეწველობას”.⁵ ბუნებრივია, რომ “წიგნის გამყიდველები ძირითადად ზრუნავდნენ მოგების მიღებასა და საკუთარი პროდუქციის გაყიდვაზე. აქედან გამომდინარე, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ეძიებდნენ ისეთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებიც მათ თანამედროვეთა უმეტესობის დაინტერესებას შეძლებდნენ”.⁶

თავდაპირველად წიგნის გასაღების ცენტრალური ბაზარი იყო განათლებული ევროპა, რომელიც მოიცავდა ლათინურ ენაზე მკითხველი საზოგადოების ფართო, მაგრამ თხელ ფენას. ამ ბაზრის შევსებას დაახლოებით ასორმოცდაათი წელი დასჭირდა. გადამწვევტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ლათინური, გარდა იმისა, რომ საკრალური ბუნებით ხასიათდებოდა,

3. ციტირებულია ეიზენშტეინის მიერ, “Some Conjectures”, გვ. 56.

4. Febvre and Martin, “The Coming of the Book”, გვ. 122 (თუმცა ლედანში უბრალოდ აღნიშნულია ‘par-dessus les frontières!’), L’Apparition, გვ. 184.

5. იქვე, გვ. 187. ლედანში ლაპარაკია “puissants” (ძალაუფლების მქონე) და არა “მდიდარ” კაპიტალისტებზე, L’Apparition, გვ. 281.

6. “ამდენად, ამ თვალსაზრისით საგამომცემლო საქმის წარმოება წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს იმისთვის, რომ ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე საზოგადოების ანალოგი, რომელიც საქონლის მასიური მოხმარებითა და სტანდარტიზაციით იქნებოდა გამორჩეული”. იქვე, გვ. 259-260 (ლედანში წერია: ‘une civilisation de masse et de standardisation’, რომლის სათანადო თარგმანი იქნება “სტანდარტიზებული, მასიური ცივილიზაცია”, L’Apparition, გვ. 394).

წარმოადგენდა ორენოვანი საზოგადოების ენას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, შესაბამისად, ძლიან ცოტა ხალხი ლაპარაკობდა ამ ენაზე დაბადებიდან, და, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლები აზროვნებდა და ფიქრობდა ლათინურად. მეთექვსმეტე საუკუნეში ორენოვანთა საერთო რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო მთელი ევროპის მასშტაბით. სავარაუდოა, რომ მათი რაოდენობა არც დღევანდელ, და არც მომდევნო საუკუნეების მსოფლიო მოსახლეობაში იქნება მეტი. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მიუხედავად, კაცობრიობის დიდი ნაწილი ერთენოვანი იყო მაშინაც და ახლაც ერთენოვანია. კაპიტალისტური ლოგიკის თანახმად, ბაზრის შევსება ელიტარული ლათინური გამოცემებით, გამოიწვევდა ერთენოვანი მასებით წარმოადგენილ დიდ პოტენციურ ბაზრებზე ბატონობას. ამაში დასარწმუნებლად, კონტრეფორმაციამ ბიძგი მისცა ლათინური გამოცემების დროებით მოზღვავენას, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებისთვის ვითარება შეიცვალა და ზემოხსენებული მიმდინარეობა დაცემის გზას დაადგა, ხოლო კათოლიკური ბიბლიოთეკები კი, დიდი სისწრაფით ივსებოდა. ამასობაში, ევროპის მასშტაბით წარმოქმნილმა ფულთან დაკავშირებულმა პრობლემებმა აიძულა გამოცემელები დაეწყოთ უფრო მდარე, იაფფასიანი წიგნების ბეჭდვა ადგილობრივ ენებზე.⁷

ლიტერატურის გამოცემებს ადგილობრივ ენაზე რევოლუციური ბიძგი მისცა კაპიტალისტურმა სისტემამ. ეს განპირობებული იყო სამი გარეშე ფაქტორით, რომელთაგან ორმა პირდაპირი წვლილი შეიტანა ეროვნული შეგნების გაზრდაში. პირველი, და, ამავე დროს, ყველაზე ნაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტორი იყო თავად ლათინურ ენაში მომხდარი ცვლილება. ჰუმანისტების ძალისხმევამ, რომ აღედგინათ წინაქრისტიანული ანტიკური პერიოდის ვრცელი ლიტერატურა და გაეგრძელებინათ ის საგამომცემლო ბაზარზე, გამოიწვია ანტიკური ხანის მწერალთა დახვეწილი სტილისტური მიღწევების ახლებური შეფასება ტრანსევროპული ინტელიგენციის მიერ. ლათინური ენა, რომელზეც მათ სურდათ წერა, უფრო და უფრო ციცერონისეული გახდა, და, ამდენად, მეტად დაშორდა სასულიერო და ყოველდღიურ ცხოვრებას. ამგვარად, მან შეიძინა ეზოთერული თვისება, რომელიც საკმაოდ

7 იქვე, გვ. 195.

განსხვავდებოდა შუა საუკუნეების საეკლესიო ლათინურისგან, არა იმიტომ, რომ ძველი ლათინური თავისი არსით არ იყო იდუმალების მატარებელი, არამედ, უბრალოდ იმიტომ, რომ ყველაფერი იწერებოდა ამ ენაზე, ე.ი. მისი ტექსტუალური სტატუსის გამო. ახლა ის მისტერიული გახდა თავად ენის გამო.

მეორე იყო რეფორმაციის ზეგავლენა, რომლის წარმატება, თავის მხრივ, კაპიტალიზმის ბეჭდური პროდუქციის განვითარებამაც განაპირობა. საგამომცემლო ხანის დაწყებამდე, რომი ადვილად იგებდა ყველა ომს ერესის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში, რადგან მას ყოველთვის გააჩნდა თავის მოწინააღმდეგეზე უკეთესი შიდა საკომუნიკაციო ხაზები. მაგრამ, როდესაც 1517წ. მარტინ ლუთერმა თავისი თეზისები უიტენბერგის ეკლესიის კარზე მიამაგრა, ისინი ნათარგმნი იყო გერმანულად და “თხუთმეტი დღის განმავლობაში გავრცელდა ქვეყნის ყველა კუთხეში”.⁸ ორი ათწლეულის მანძილზე, 1520-1540წწ. გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნების რაოდენობამ საძვერ გადააჭარბა 1500-1520წწ. პერიოდში გამოცემულ ლიტერატურას. ეს იყო საოცარი ტრანსფორმაცია, ხოლო ლუთერი კი უმთავრეს ფიგურას წარმოადგენდა. მისი შრომები 1518-1525წწ. გაყიდული ყველა გერმანულენოვანი წიგნის არანაკლებ ერთ მესამედს შეადგენდა. 1522-1546წწ. გამოჩნდა ბიბლიის მისი თარგმანების სრული 430 გამოცემა (მთლიანობაში ან ნაწილობრივ). “აქ პირველად იჩინა თავი კითხვისადმი მასიურმა ინტერესმა, ხოლო პოპულარული ლიტერატურა კი ყველასთვის მისაწვდომი გახდა”.⁹ ფაქტიურად, ლუთერი იქცა თავისი დროის ისეთ ცნობილ ავტორად, რომლის ნაწარმოებებიც დიდი წარმატებით იყიდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის იყო ბესტსელერების პირველი ავტორი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი.¹⁰

8. იქვე, გვ. 289-290.

9. იქვე, გვ. 291-295.

10. ამ თვალსაზრისით, ეს იყო მხოლოდ ერთი ნაბიჯი იმ მდგომარეობისკენ, რომელიც მენვიდმეტე საუკუნის საფრანგეთში იყო გაბატონებული, სადაც კორნელის, მოლიერს და ლაფონტენს პირდაპირ გამომცემლებისთვის შეუძლოთ მიეყიდათ საკუთარი ხელნაწერი ტრაკედები და კომედიები. გამომცემლები კი ყიდულობდნენ მათ, რადგან ავტორების საბაზრო რეპუტაციიდან გამომდინარე, ამ ნაწარმოებებს ბრწყინვალე ინვესტიციებად მიიჩნევდნენ. იქვე, გვ. 161.

ლუთერი იქცა წინამძღოლად, სხვები კი მის მიმდევრებად და მისი საქმის გამგრძელებლებად. ისინი ჩათრეული აღმოჩნდნენ კოლოსალურ რელიგიურ ომში. ეს იყო პროპაგანდისტული ომი, რომელიც მძვინვარებდა ევროპაში მთელი შემდეგი საუკუნის განმავლობაში. ამ ტიტანურ “ომში, რომელიც ადამიანის გონების დასაპყრობად წარმოებდა”, პროტესტანტიზმი ყოველთვის იერიშზე გადასვლის პოლიტიკას ეწეოდა, რადგან იცოდა, როგორ გამოეყენებინა მშობლიურ ენაზე შესრულებულ გამოცემათა გასაღების მზარდი ბაზარი თავის სასარგებლოდ, რომელსაც საფუძველს უყრიდა კაპიტალისტური სისტემა. ამავე დროს, კონტრეფორმაცია შეუპოვრად იცავდა ლათინური ენის ციტადელს. ამის დასტურია ვატიკანის “*Index Librorum Prohibitorum*” – რომლის პროტესტანტული ასლი არ არსებობდა – ეს იყო რომანების კატალოგი, რომლის საჭიროებასაც გამოქვეყნებული ლიტერატურის დიდი მოცულობა ქმნიდა. ამ შეზღუდული მენტალიტეტის არსს კარგად ასახავს 1535წ. ფრანსუა პირველის მიერ გამოცემული ბრძანება მის სამეფოში *ნებისმიერი* წიგნის დაბეჭდვის აკრძალვის თაობაზე. ამ ბრძანების დაუმორჩილებლობა ჩამოხრჩობით ისჯებოდა. საგამომცემლო საქმის როგორც აკრძალვის, ისე ნებართვის მიზეზი ის იყო, რომ იმ პერიოდში მის სამეფოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ პროტესტანტული სახელმწიფოები და ქალაქები, რომლებიც ეწეოდნენ მასიურ კონტრაბანდულ საგამომცემლო საქმიანობას. განვიხილოთ, თუნდაც მარტო კალვინის პერიოდის ქვენევა: 1533-1540წწ. იქ მხოლოდ ორმოცდარი გამოცემა დაიბეჭდა, მაგრამ ეს ციფრი 1550-1564წწ. ხუთას ოცდაშვიდამდე გაიზარდა, რისთვისაც არანაკლებ ორმოცი ცალკეული საბეჭდო დაზგა ღლე და დამ მუშაობდა.¹¹

ვარკვეულმა კოალიციამ პროტესტანტიზმსა და კაპიტალიზმის ბეჭდურ პროდუქციას შორის, რომელიც დაკავებული იყო იაფფასიანი პოპულარული გამოცემების ბეჭდვით, ბიძგი მისცა ახალი მკითხველი საზოგადოების ჩამოყალიბებას – არა მხოლოდ ვაჭრებისა და ქალების სახით, რომლებმაც, როგორც წესი, ან ძალიან ცუდად, ან სულ არ იცოდნენ ლათინური – და, იმავედროულად, მოახდინა მათი პოლიტიკურ-რელიგიური მიზნებით

11. აქვე, გვ. 310-315.

კობილიზება. სრულიად კანონზომიერი გახლდათ ის ფაქტი, რომ კელესია არ იყო ერთადერთი, რაც ერთიანად შეირყა. იგივე ვულკანმა წარმოშვა ევროპის პირველი მნიშვნელოვანი, არადინასტიური, არაქალაქური სახელმწიფოები პოლანდიის რესპუბლიკისა და პურიტანთა თანამეგობრობის სახით (ფრანსუა პირველის პანიკა პოლიტიკურადაც ისევე ძლიერი იყო, როგორც რელიგიურად).

მესამე იყო ადგილობრივი ენების, როგორც ადმინისტრაციული ცენტრალიზმის ინსტრუმენტების ნელი, გეოგრაფიულად არათანაბარი გავრცელება გარკვეულწილად მყარი პოზიციების მქონე, თითქმის აბსოლუტისტი მონარქების მიერ. კარგი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ლათინურის ბატონობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში არასოდეს შეესაბამებოდა საყოველთაო პოლიტიკურ სისტემას. საყურადღებოა კონტრასტი იმპერიულ ჩინეთთან, სადაც მანდარინული ბიუროკრატის ძალაუფლებისა და იეროგლიფური დამწერლობის არეალები მკაცრად ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ფაქტიურად, დასავლეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ, დასავლეთ ევროპის პოლიტიკური დანაწევრება ნიშნავდა იმას, რომ ვერცერთი მონარქი ვერ მოახდენდა ლათინურის მონოპოლიზებას და ვერ აქცევდა მას საკუთარი და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფო ენად. ამდენად, ლათინური ენის რელიგიურ ავტორიტეტს არასოდეს ჰყოლია ჭეშმარიტი პოლიტიკური ანალოგი.

მეთექვსმეტე საუკუნეში ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ადგილობრივი ენების გამოყენების წამოწყება წინ უსწრებდა როგორც რელიგიურ გარდაქმნებს, ისე ცვლილებებს საგამომცემლო საქმეში. ადგილობრივი ენების მნიშვნელობის ასეთი შეცვლა მიჩნეულ უნდა იქნას (ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე მაინც), დამოუკიდებელ ფაქტორად, რომელმაც გამოიწვია საკრალური წარმოსახვითი საზოგადოების ეროზია. ამავე დროს, არც იმის მაჩვენებელია რაიმე, რომ ადგილობრივი ენების გავრცელებას საფუძვლად უდევს ღრმა იდეოლოგიური, ცალკე აღებული წმინდა ნაციონალური იმპულსი. განსაკუთრებით საყურადღებოა "ინგლისის" შემთხვევა, რომელიც ლათინური ევროპის ჩრდილო დასავლეთ პერიფერიაზე მდებარეობდა. ვიდრე ქვეყანას ნორმანდიელები დაიპყრობდნენ, სამეფოს ენა, როგორც ლიტერატურული, ისე

ადმინისტრაციულიც ანგლო-საქსური იყო. მოძღვენო ერთ-ნახევარი საუკუნის მანძილზე კი ყველა სამეფო დოკუმენტის შედგენა ფაქტიურად ლათინურ ენაზე წარმოებდა. დაახლოებით 1200-1350წწ. ლათინური ენის სახელმწიფო სტატუსი შეიცვალა ნორმანდიული ფრანგულით. ამასობაში, ამ უცხო მმართველი კლასისა და მასზე დაქვემდებარებული მოსახლეობის ანგლო-საქსური ენების თანდათანობითმა შერწყმამ წარმოშვა ძველი ინგლისური. ენების შერწყმის შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ ეს ახალი ენა 1362წ. შემდეგ სამეფოების ენად ქცეულიყო და და პარლამენტსაც ამ ენაზე ეწარმოებინა მუშაობა. 1382წ. კი გამოიცა უიკლიფის მიერ ნათარგმნი ბიბლიის *ხელნაწერი* მშობლიურ ენაზე.¹² მნიშვნელოვანია არ დავივიწყოთ, რომ აღნიშნული თანმიმდევრობა ხასიათდებოდა “სახელმწიფო” და არა “ეროვნული” ენების წყობით, ხოლო ენის სახელმწიფო სტატუსი სხვადასხვა დროს ერცვლდებოდა არა მხოლოდ დღევანდელი ინგლისისა და უელსის ტერიტორიაზე, არამედ ირლანდიის, შოტლანდიისა და *საფრანგეთის* გარკვეულ ნაწილებზეც კი. აშკარაა, რომ დაპყრობილი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ძალიან ცუდად ან სულ არ იცოდა ლათინური, ნორმანდიული ფრანგული ან ძველი ინგლისური.¹³ ინგლისური ენის პოლიტიკურ ტახტზე ასვლის *შემდეგ*, დაახლოებით ერთი საუკუნე მაინც გავიდა, ვიდრე “საფრანგეთში” ლონდონის ძალაუფლება გაუქმდებოდა.

იგივე მოვლენებს კჰონდა ადგილი სენაზეც, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ მათი განვითარება შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. როგორც ბლოხი აღნიშნავს, “ფრანგულ ენას, რომელიც ლათინურის დამახინჯებულ ფორმად იყო მიჩნეული, რამდენიმე საუკუნე დასჭირდა ლიტერატურული დიდების მოსაპოვებლად”.¹⁴ 1539წ., როდესაც ფრანსუა პირველმა გამოსცა ედიქტი Villers-Cotterêts,¹⁵ ფრანგული მართლმსაჯულების

12. Seton-Watson, “Nations and States”, გვ. 28-29; Bloch, “Feudal Society”, I, გვ. 75.

13. არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი ენების ადმინისტრაციული უნიფიკაცია სწრაფად ან მთლიანად იქნა მიღწეული. არ არის სარწმუნო, რომ გვიანაში, რომელიც ლონდონიდან იმართებოდა, ოდესმე საქმის წარმოება ძველ ინგლისურ ენაზე ხდებოდა.

14. Bloch, “Feudal Society”, I, გვ. 98.

15. Seton-Watson, “Nations and States”, გვ. 48.

ოფიციალურ ენად იქცა. სხვა სამეფოებში ლათინური უფრო დიდხანს შემორჩა – კაბსბურგებთან ის შენარჩუნებულ იქნა მეცხრამეტე საუკუნემდეც კი. სხვაგან კი მისი ადგილი “უცხოურმა” ადგილობრივმა ენებმა დაიკავეს. მეთვრამეტე საუკუნეში, რომანოვების სამეფო კარზე გავრცელებული იყო ორი ენა: ფრანგული და გერმანული.¹⁶

ნებისმიერ შემთხვევაში ენის “არჩევანი” გამუდმებით ხორციელდება თანდათანობით, გაუთვითცნობიერებლად, პრაგმატულად და, ბევრი რომ აღარ გაეგარძელოთ, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეს პროცესი, თავისი არსით, წარმოადგენდა ენის გაცნობიერებული პოლიტიკის აბსოლუტურად განსხვავებულ ფორმას, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის დინასტიურ სამეფოთა ის მეთაურები აწარმოებდნენ, რომლებიც შუღლის ჩამომგდები, პოპულარული ლინგვისტური ნაციონალიზმის მოზღვაკების წინააღმდეგ გამოდიოდნენ (იხ. თავი 6). აღნიშნული სხვაობის ერთ-ერთი აშკარა ნიშანია ის, რომ ძველად, მმართველობისა და საქმეთა წარმოების ენებად *მხოლოდ* ის ენები ითვლებოდა, რომლებსაც ბიუროკრატიული სისტემა სასურველი სამუშაო პირობების შესაქმნელად იყენებდა. აზრადაც კი არავის მოსვლია, რომ დინასტიური სახელმწიფოების მიერ დაპყრობილი მოსახლეობისთვის საკუთარ ენა იძულებით მოეხვიათ თავს.¹⁷ მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის წარმოსახვითი საზოგადოების დაკნინების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ადგილობრივი ენების განვითარებამ და მათ მიერ ძალაუფლების ენათა სტატუსის მოპოვებამ, რითაც ისინი გარკვეულწილად, ლათინურის კონკურენტებადაც კი იქცნენ (ფრანგული პარიზში, [ძველი] ინგლისური ლონდონში).

მოვლენათა არსში ჩაღრმავება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მოცემულ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლათინურის ეზოთერიზებას, რეფორმაციასა და ადგილობრივი ენების მმართველობის ენებად ქცევის შემთხვევით

16. იქვე, გვ. 83.

17. ამ თვალსაზრისს სათანადოდ ადასტურებს ფრანსუა I, რომელმაც, როგორც ენახეთ, 1535წ. აკრძალა წიგნის ბეჭდვა, ხოლო ფრანგული ოთხი წლის შემდეგ აქცია სამეფო კარის ენად.

პროცესს. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღესაც, იმ უარყოფითი წვლილის გამო, რომელიც მან ლათინური ენისთვის მართვის სადავეების წართმევის საქმეში შეიტანა. სრულიად შესაძლებელია, რომ წარმოსახვითი საზოგადოების გაჩენა ხდებოდა რომელიმე სხვა, ან თუნდაც ყველა არსებული საზოგადოებისგან დამოუკიდებლად. ის, რამაც, კარგი გაგებით, ახალ საზოგადოებათა წარმოსახვას ჩაუყარა საფუძველი, იყო ნახევრად შემთხვევითი, მაგრამ დაძაბული ურთიერთქმედება წარმოების სისტემასა და საწარმოო ურთიერთობებს შორის (კაპიტალიზმი), აგრეთვე კომუნიკაციების ტექნოლოგია (საგამომცემლო საქმე) და ადამიანთა ლინგვისტური მრავალფეროვნების ფატალურობა.¹⁸

ფატალურობის ელემენტი მეტად მნიშვნელოვანია. მართალია, განუხომელია ყოველივე ის, რაც ხელეწიფებოდა კაპიტალიზმს, მაგრამ იგი ვერ გაექცა სიკვდილის და ენების მკვეთრ დაპირისპირებას.¹⁹ იმაში, რომ ცალკეული ენა შეიძლება მოკვდეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა, გასაკვირი არაფერია, მაგრამ სრულიად შეუძლებელია კაცობრიობის საერთო ლინგვისტური უნიფიკაცია. და მაინც, ამ ურთიერთშეთავსებადობის შეუძლებლობა ისტორიულად არც თუ ისე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მანამ, სანამ კაპიტალიზმი და საგამომცემლო საქმე საფუძველს ჩაუყრიდნენ მასიური ერთნოვანი მკითხველი საზოგადოების შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაუვალი ლინგვისტური მრავალფეროვნების საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, უადრესად მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ ფატალურობის ცნებაზე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეცდომა

18. ეს არ იყო ასეთი სახის პირველი "შემთხვევა". ფებერი და მარტინი შენიშნავენ, რომ მაშინ, როდესაც მეცამეტე საუკუნის ბოლოსთვის ევროპაში უკვე შეიმჩნეოდა ბურჟუაზიის არსებობა, ქალაქი არ ქცეულა ფართო მოხმარების საგნად მეთოთხმეტე საუკუნის ბოლომდე. მხოლოდ ქალაქის გლუვი, ბრტყელი ზედაპირი ხდიდა შესაძლებელს, რომ ასახულიყო ტექსტებისა და სურათების მასიური რეპროდუქციები. და მაინც, ეს არ მომხდარა მომდევნო 75 წლის მანძილზეც კი. მაგრამ ქალაქი არ წარმოადგენდა ევროპულ გამოგონებას. ის გაურცვლდა სხვა ქვეყნიდან - კერძოდ, ჩინეთიდან - ისლამური სამყაროს საშუალებით. "The Coming of the Book", გვ. 22, 30 და 45.

19. ჩვენ ვერ ვიღვე არ გვაქვს გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციები გამომცემლობის სფეროში.

იქნებოდა მისი გათანაბრება ნაციონალურ იდეოლოგიებში არსებულ საყოველთაო ელემენტთან, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას გარკვეულ ენათა თავდაპირველ ფატალურობასა და გარკვეულ ტერიტორიებთან მათ ასოცირებაზე ამახვილებს. უმთავრესი მაინც ის ურთიერთქმედებაა, რომელიც შეიმჩნევა ფატალურობას, ტექნოლოგიასა და კაპიტალიზმს შორის. საგამომცემლო საქმის დაწყებამდე, ევროპაც, და, რა თქმა უნდა, მსოფლიოს სხვა კუთხეებიც, სალაპარაკო ენათა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. ეს ენები, მათზე მოლაპარაკე ხალხისთვის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ძაფებისა და საგულდაგულოდ გაბმული ქსელების როლს ასრულებდნენ (და ახლაც ასრულებენ). მათი რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ თუ კაპიტალისტები მოინდობდნენ, რომ საგამომცემლო საქმე ეწარმოებინათ თითოეულ პოტენციურ სამეტყველო ადგილობრივ ენაზე, კაპიტალისტური სისტემა საკმაოდ დაზარალდებოდა. მაგრამ ამ განსხვავებულ დიალექტებს საგამომცემლო ენებად გაერთიანების უნარიც შესწევდათ, რაც ხდებოდა გარკვეული ზღვარის ფარგლებში და ენათა რაოდენობაც საკმაოდ მცირდებოდა. ასეთი გაერთიანების შესაძლებლობას ქმნიდა ნიშანთა სისტემისა და ბგერების შეუთავსებლობა²⁰ (ამავე დროს, რაც უფრო იდეოგრაფიული იყო ენა, მით უფრო დიდი იყო პოტენციური შერწყმის ზონა. ადამიანს შეუძლია გამოავლინოს ერთგვარი დადამავალი იერარქია ალგებრის, ჩინურისა და ინგლისურის დაუფლებით დაწყებული და ფრანგულისა თუ ინდონეზიურის რეგულარული სწავლებით დამთავრებული). მონათესავე ენების "შერწყმის" საქმეში უდიდესი როლი შეასრულა კაპიტალიზმმა, რომელმაც გრამატიკისა და სინტაქსის საშუალებით, დაწესებული ზღვარის ფარგლებში, შექმნა შექანიკურად

20. ამ საკითხის ნაყოფიერი განხილვის მიზნით, იხილეთ S. H. Steinberg, "Five Hundred Years of Printing", თავი 5. ის ფაქტი, რომ ასოთშეთანხმება ough განსხვავებულ წარმოთქმის სიტყვებში although, bough, lough, rough, cough და hiccough, გვიჩვენებს, რომ წარმოიშვა დიალექტური მრავალფეროვნებაც, რომელმაც დასაბამი მისცა ინგლისურის ახალ სტანდარტულ წარმოთქმას და საბოლოო შედეგის იდეოგრაფიულ ხარისხზეც იმოქმედა.

რეპროდუცირებული საგამომცემლო ენები. ამ ენებს კი ბაზარზე გავრცელების უნარიც შესწევდათ.²¹

ზემოხსენებულმა „ბეჭდვითმა“ ენებმა საფუძველი ჩაუყარეს ეროვნული შეგნების განვითარებას. ეს შესაძლებელი გახდა სამი გარკვეული ფაქტორის ამოქმედებით. პირველი და უმთავრესი იყო აზრთა ურთიერთგაცვლისა და კომუნიკაციის ერთიანი სივრცის შექმნა, სადაც ლათინური აღარ სარგებლობდა გაბატონებული მდგომარეობით და მის ადგილს ადგილობრივი ენები იკავებდნენ. ხალხს, რომელიც ფრანგული, ინგლისური თუ ესპანური ენების მრავალფეროვან ნაირსახეობაზე მეტყველებდა, მეტად უჭირდა თანამოსაუბრის გაგება, ზოგჯერ ეს შეუძლებელიც კი ხდებოდა. ბეჭდური პროდუქციისა და ქაღალდის საშუალებით კი მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება. ამ პროცესში, ადამიანებმა თანდათანობით შეიტყვეს ასი ათასობით, მილიონობით ხალხის შესახებაც კი, რაც მოახერხეს როგორც საკუთარი ენის, ასევე იმ ენების საშუალებით, რომლებიც მხოლოდ იმ ასი ათასობით ან მილიონობით ხალხის საკუთრებას წარმოადგენდა. ბეჭდური პროდუქციის გზით დაკავშირებულმა ამ ახალმა მკითხველმა თაობამ შექმნა წარმოსახვითი ეროვნული საზოგადოების ემბრიონი, რომელიც თავისი საერო ხასიათით, განსაკუთრებული თვისებებითა და ვიზუალურობის გვერდიგვერდ არსებული აშკარა უჩინარობითაც გამოირჩეოდა.

მეორე ფაქტორი იყო ის, რომ კაპიტალისტურმა საგამომცემლო საქმემ ენას სტაბილური და მარადიული თვისება შესძინა. ეს თვისება დიდი ხნის მანძილზე უწყობდა ხელს წარსულის იმ იმიჯის შექმნას, რომელიც ერის სუბიექტური გაგების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. როგორც ფებერი

21. მე შეგნებულად ვამბობ „უდიდესი როლი შეასრულა კაპიტალიზმმა“. სტეინბერგიც და ეიზენშტეინიც ახლოს არიან აზრთან, რომ მოხდეს ბეჭდვითი სიტყვის თეოლოგიზაცია, ბეჭდვის, რომელიც თანამედროვე ისტორიის გენიად აღიქმება. ფებერი და მარტინი არასოდეს ივიწყებდნენ, რომ გამოცემების უკან გამომცემლები და საგამომცემლო ფირმები იდგნენ. ამ კონტექსტში ღირს იმის გახსენება, რომ ბეჭდვის ჩინეთში გამოგონების მიუხედავად, რომელიც, შესაძლოა 500 წლითაც კი უსწრებდა ევროპას, მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი რევოლუციური გაულენა – რაც იმ ქვეყანაში სწორედ კაპიტალიზმის არ არსებობით აიხსნება.

და მარტინი შეგვახსენებენ, დასტამბული წიგნი ინარჩუნებდა მუდმივ ფორმას, რომელსაც გარკვეულ პერიოდში და გარკვეულ სივრცეში, ფაქტიურად, უსასრულო რეპროდუცირების უნარი გააჩნდა. მან დაკარგა ინდივიდუალიზებისა და “გაუცნობიერებელი მოდერნიზებისადმი” მიდრეკილება, რომელიც მას მონასტრის მწერლებმა შეუქმნეს. მართალია, მეთორმეტე საუკუნის ფრანგულსა და მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული ვიონის ნაწერებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავება იყო, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნეში ამ ენობრივი ცვლილების ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო. “მეჩვიდმეტე საუკუნისთვის ევროპულმა ენებმა მეტწილად თანამედროვე ფორმები მიიღეს”.²² სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს განმტკიცებული საგამომცემლო ფორმები სამი საუკუნის მანძილზე იხვეჭდნენ იმ შარავანდელს, რომელიც ბნელით მოცული შუქით იყო გასხვივოსნებული. ვიონისთვის სრულიად გაუგებარი იყო ის ენა, რომელზეც მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები მისი თანამემამულენი მეტყველებდნენ. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი თაობის შესახებაც, რომლისთვისაც სრულიად მიუწვდომელია ის ენა, რომელიც მის ტერიტორიაზე მეჩვიდმეტე საუკუნეში იყო გავრცელებული.

მესამე ფაქტორი იყო ის, რომ კაპიტალისტურმა საგამომცემლო საქმემ საფუძველი ჩაუყარა იმ ენების შექმნას, რომლებზეც სახელმწიფო მმართველობა წარმოებდა. ეს ენები განსხვავდებოდნენ უფრო ძველ პერიოდში არსებული ადმინისტრაციული სტატუსის მქონე ადგილობრივი ენებისგან. გარკვეული დიალექტები უთუოდ უფრო “ახლო” კავშირში იყვნენ თითოეულ საგამომცემლო ენასთან და დომინირებდნენ მის საბოლოო ფორმებში, ხოლო მათი მონათესავე ნაკლებად “ილბლიანი” ენები, რომლებიც, ასე თუ ისე, მაინც ასიმილირებადი იყვნენ საგამომცემლო ენასთან, რომლის ჩამოყალიბების პროცესიც მიმდინარეობდა, ყველაფერთან ერთად, იმიტომაც დაადგნენ დაკნინების გზას, რომ მათი მცდელობა, შეექმნათ საკუთარი საგამომცემლო ფორმა, წარმატებული არ

22. “The Coming of the Book”, გვ. 319. შეადარეთ L'Apparition, გვ. 477: ‘Au XVIIe siècle, les langues nationales apparaissent un peu partout cristallisées’ (‘მეჩვიდმეტე საუკუნეში ნაციონალური ენები მეტნაკლებად ყველგან გამოიკვეთა’).

აღმოჩნდა (ან თუ აღმოჩნდა, წარმატება მხოლოდ შეფარდებითი იყო). "გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გავრცელებულ ენად" იქცა Platt Deutsch-ის სახელით ცნობილი სუბსტანდარტული გერმანულის ფორმა, რომელსაც ფართოდ გამოიყენებდნენ და მისი ასიმილირება საგამომცემლო გერმანულ ენასთან აშკარა იყო, მაშინ როდესაც ბოჰემიური სალაპარაკო ჩეხურის ასიმილირება გერმანულთან სრულიად გამოირიცხებოდა. ზემო გერმანული გახდა სახელმწიფო ენა, მაშინ როდესაც ქვემო გერმანული დიალექტები სალაპარაკო ენებად დარჩნენ. იგივე შეიძლება ითქვას სამეფო ინგლისურზე და მოგვიანებით ცენტრალურ ტაიზე. (ამიტომ, მეოცე საუკუნის მიწურულს, ევროპაში გარკვეულმა "ქვე"-ერებმა გააჩაღეს ბრძოლა მათთვის მიკუთვნებული მეორეხარისხოვანი სტატუსის შესაცვლელად, რის მიღწევასაც ისინი საგამომცემლო საქმესა და რადიოში მტკიცედ დამკვიდრების გზით ცდილობდნენ).

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თავდაპირველად ბეჭდვითი ენათა დამკვიდრება და მათი შემდგომი დიფერენციაცია სრულიად გაუცნობიერებლად მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო კაპიტალიზმის, ტექნოლოგიისა და ხალხის ლინგვისტურ მრავალფეროვნებათა შორის განვითარებული დაძაბული ურთიერთქმედებით. მაგრამ, "იქ", ნაციონალიზმის სამყაროში დამკვიდრებული ბევრი სხვა მოვლენის მსგავსად, ისინი ფორმალურად მისაბამ მოდელებადაც შეიძლებოდა ქცეულიყვნენ, ხოლო სათანადო პირობებში მათ გამოყენებას შეიძლებოდა სრულიად შეგნებული სახე მიეღო და მაკიაველისთვის ჩვეული სულისკვეთების მატარებელიც კი გამხდარიყო. ამჟამად, ტაილანდის მთავრობა აქტიურად ეწინააღმდეგება უცხოელ მისიონერთა მცდელობებს, რომლებსაც სურთ, ხელი შეუწყონ ამ ქვეყნის მთავორიანი მოსახლეობის უმცირესობებს საკუთარი ტრანსკრიფციის სისტემების შექმნისა და საკუთარ ენებზე გამოცემათა წამოწყების საქმეში. იგივე მთავრობა აბსოლუტურ გულგრილობას იჩენს იმის მიმართ, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ ეს უმცირესობები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თურქულენოვანი ხალხების ბუდი როგორც დღევანდელი თურქეთის, ისე ირანის, ერაყისა და სსრკ-ის საზღვრებში. ამ ენათა ოჯახმა, რომელიც ოდესღაც არაბული ორთოგრაფიის წყალობით ყველგან გასაგები იყო, დაკარგა მთლიანობა, რაც შეგნებული

მანიპულაციების შედეგად მოხდა. იმისათვის, რომ თურქული ენა შარავანდელით შეემოსა და დიდი ისლამური იდენტიფიკაციის ნაცვლად ეროვნული შეგნება მაღალ საფეხურზე აეყვანა, ათათურქმა მოსახლეობას იძულებით თავს მოახვია დამწერლობის ლათინიზაცია.²³ საბჭოთა ხელისუფლებამაც მიბაძა მის მაგალითს, თავდაპირველად ლათინური გრაფიკის იძულებითი დაკანონების გზით ანტიისლამური, ანტისპარსული პოლიტიკის წარმოებით, მოგვიანებით კი, სტალინის მმართველობის პერიოდში, 1930-იან წლებში, კირილიცას საშუალებით რუსიფიკაციის გეგმის განხორციელებას შეუდგა.²⁴

ამრიგად, მოტანილი დებულების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კაპიტალიზმისა და ბეჭვდითი ტექნოლოგიის შერწყმამ კაცობრიობის ენათა მრავალფეროვნებასთან ერთად ხელი შეუწყო წარმოსახვითი საზოგადოების ახალი ფორმის გაჩენას, რომელმაც თავისი საბაზო მორფოლოგიით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერის წარმოშობას. ამ საზოგადოებათა პოტენციური განფენილობა, როგორც წესი, შეზღუდული იყო, ამავე დროს, მათი ერთიანობა არსებულ ტერიტორიულ საზღვრებში, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებდა (რაც, მთლიანობაში, დინასტიური ექსპანსიონიზმის უშაღლეს გამოვლინებას წარმოადგენდა).

დღეს, საკუთარი წარმოსახვის საფუძველზე აღმოცენებულ თითქმის ყველა ერს და ეროვნულ სახელმწიფოს თავისი საგამომცემლო ბეჭვდითი ენა მოეპოვება, მაგრამ მათ შორის ისეთებიც ბევრია, ვისაც საერთო ენები აქვთ. ეროვნული ენები მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ “გამოიყენება” არა მარტო წერილობითი, არამედ სამეტყველო ფორმითაც. ხსენებული ფაქტებიდან გამოძინარე, პირველი შედეგების აშკარა მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ ესპანურენოვანი ამერიკისა და “ანგლო-საქსური ოჯახის” ეროვნული სახელმწიფოები. ხოლო შემდგომი შედეგების ნიმუშებად კი გამოდგება ბევრი ყოფილი კოლონიური

23. Hans Kohn, "The Age of Nationalism", გვ. 108. ალბათ ერთადერთი სამართლიანი საქციელი იქნება, თუ დავამატებთ, რომ ქემალი, ამასთანავე იმასაც ცდილობდა, რომ თურქული ნაციონალიზმი დასავლეთ ევროპის თანამედროვე რომანიზებულ ცივილიზაციასთან გაეთანაბრებინა.

24. Seton-Watson, "Nations and States", გვ. 317.

ქვეყანა, რომელთა უმეტესი ნაწილი აფრიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეული საგამომცემლო ენის გავრცელების მიუხედავად, თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს რეალური ჩამოყალიბება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს იზომორფული. საგამომცემლო ენებს, ეროვნულ შეგნებასა და ეროვნულ სახელმწიფოს შორის რომ არავითარი წესრიგი და რეგულაცია არ არსებობს, ამის აშკარა დადასტურებაა ის ახალი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც 1776-1838წწ. წარმოიშვა დასავლეთ ნახევარსფეროში. ყველა მათგანი შეგნებულად გაიმიჯნა, საკუთარ თავს ერის დეფინიცია მისცეს და ბრაზილიის გარდა თავი (არადინასტიურ) რესპუბლიკებად გამოაცხადეს. ეს ეროვნულ სახელმწიფოთა მნიშვნელობა დიდია არა მარტო იმიტომ, რომ ისინი პირველები მოეკლინენ სამყაროს და, ამასთანავე ზუსტად გამოავლინეს მათთვის დამახასიათებელი თვისებები, არამედ იმიტომაც, რომ მათი დიდი რაოდენობა და ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა გაჩენის უსასრულო პროცესი ნოყიერ ნიადაგს ქმნის შედარებითი გამოკვლევების ჩასატარებლად.